გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№28 (1570) 11 – 17 აგვისტო ოთხშაბათი 2021 წელი 1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www.versia.ge

ახალი ქართველი მილიარდერის სრული დოსიე

ვინ არის, რას წარმოადგენს და როგორ გადაასწრო Forbes-ის მილიარდერთა სიაში ბიძინა ივანიშვილს ყაზახეთში მცხოვრებმა მიხეილ ლომთაძემ

„რომ არა რუსული ფაქტორი, ქართველები და აფხაზები მაინც შევრიგდებოდით“

ექსკლუზიური ინტერვიუ აფხაზ მარი შამბასთან

125 დაცვის პოლიცია SECURITY POLICE

მამუკა არეშიძე: „დასავლეთის ქმედება მეძავი ქალის საქციელს ჰგავს“

უნდა ველოდოთ თუ არა კრემლისგან ახალ პროვოკაციებს და რა საკითხში თვლის რუსეთი საქართველოს მოკავშირედ

გაქცევა ენმ-დან

ვისთან ჰქონდა კონფლიქტი და რატომ დატოვა აზერ სულეიმანოვმა პარტია

რა კაცია და რატომ უნდა თბილისის მერობა „ლეიბორისტ“ მიხეილ ქუმსიშვილს

„პოლიტიკაში ახალი სახეები უცხო პლანეტიდან ვერ ჩამოვლენ“

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკო

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა, მოადგილეებთან ერთად, 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის 13 წლისთავთან დაკავშირებით, სამსახურებრივი მოვალეობის დროს დაღუპული პოლიციელების მემორიალი გვირგვინით შეამკო.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ეზოში, საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპული პოლიციელების მემორიალი ყვავილებით შეამკეს და 2008 წლის ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელებმაც.

13 წლის წინ, რუსეთ-საქართველოს ომის დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 და სანაპირო დაცვის 5 თანამშრომელი დაიღუპა. ვახტანგ გომელაურის გადაწყვეტილებით, დაღუპული თანამშრომლების შვილებსა და ოჯახებს მატერიალური დახმარებები გაეწიათ.

პოლიციამ ბორჯომში მომხდარი განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1986 წელს დაბადებული ა.მ., განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ მიმდინარე წლის 6 აგვისტოს, ბორჯომში, ინგოროყვას ქუჩაზე, ბრალდებულსა და 1984 წელს დაბადებულ, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევ ლ.ნ.-ს შორის მოხდა კონფლიქტი, რა დროსაც ლ.ნ.-მ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენჯერმე გაისროლა, ხოლო ბრალდებულმა მას ცივი იარაღით ჭრილობები მიაყენა. დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მისვლის შემდეგ გარდაიცვალა.

სამართალდამცველებმა ა.მ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე დააკავეს. ნივთმტკიცებად ამოღებულია „აკ 74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა იარაღის შენახვისა და გადატანის ახალი რეგულაციები დაამტკიცა

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, სარგებლობაში ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვისა და გადაგზავნისა წესში ცვლილებები დაამტკიცა.

მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა სანადირო იარაღის ტარების ახალი წესი. კერძოდ, დასახლებულ პუნქტში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, 500 მეტრის რადიუსში, სანადირო იარაღის ტარება დასაშვები გახდა მხოლოდ სპეციალური შალითით, განმუხტულ, ვაზნებისგან განცალკევებულ მდგომარეობაში, რა დროსაც სანადირო იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ მისი მოხსნის გარეშე, იარაღის საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა გამოირიცხოს, ან სანადირო იარაღი არასრულად დაშლილ მდგომარეობაში უნდა იყოს.

ბრძანებით, დეტალურად განისაზღვრა იარაღის არასრული დაშლის განმარტება. კერძოდ, იარაღი არასრულად დაშლილად ჩაითვლება, თუ მასში არსებული ყველა შესაძლო ნაწილი (ძირითადი ელემენტები) განცალკევდება სპეციალური ხელსაწყოების გამოყენების გარეშე. ბუნებრივია, ეს მოთხოვნა არ ვრცელდება იმ იარაღებზე, რომელთა კონსტრუქციაც არ იძლევა ამის შესაძლებლობას.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, განისაზღვრა დამატებითი რეგულაციები იარაღის შენახვასთან დაკავშირებით. კერძოდ, იარაღი და საბრძოლო მასალა უნდა ინახებოდეს ისეთ მდგომარეობასა და პირობებში, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება მისი დაცვა და უსაფრთხოება, გამოირიცხება გაუთვალისწინებელი (უნებლიე) გასროლა და იარაღთან გარეშე პირთა დაშვების შესაძლებლობა. ამასთან, იარაღი და საბრძოლო მასალა უნდა ინახებოდეს დაკეტილ სათავსოში ან/და იარაღს დამაგრებული უნდა ჰქონდეს უსაფრთხოების საკეტი იმგვარად, რომ მისი მოხსნის გარეშე, საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანა გამოირიცხოს.

გარდა ამისა, ბრძანებაში შესული ცვლილებით, განისაზღვრა აკუსტიკური (ხმოვანი) იარაღის გადატანა-გადაზიდვის წესები.

ახალი საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, აიკრძალა ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის ტარება და დასაშვები გახდა მხოლოდ მისი გადატანა თეატრალურ წარმოდგენებში, კინო და სატელევიზიო ჩვენებებში, ისტორიულ რეკონსტრუქციებში, აღლუმებსა და სპორტულ ღონისძიებებში გამოყენების მიზნით. შესაბამისად, ამ მიზნით, ხმოვანი (აკუსტიკური) იარაღის გადატანისას, მფლობელს თან უნდა ჰქონდეს შესაბამისი მიზნის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი, რომლის გამოყენებაც დასაშვები იქნება ერთჯერადად.

აღნიშნული წესების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

პოლიციამ განზრახ მკვლელობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1995 წელს დაბადებული ლ.ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა ლ.ხ.-მ, მიმდინარე წლის 6 აგვისტოს, კასპის მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელკაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღის გამოყენებით, სამი ადამიანი დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურმა სამივე დაჭრილი სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანა, რომელთაგანაც ერთ-ერთი – 1971 წელს დაბადებული გ.გ., სიცოცხლესთან შეუთავსებელი დაზიანების გამო, კლინიკაში მიყვანიდან რამდენიმე წუთში გარდაიცვალა.

პოლიციამ ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, ცხელ კვალზე დააკავა.

განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით მიმდინარეობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლების COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი რეგიონებში აქტიურად მიმდინარეობს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლების COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი, თბილისის პარალელურად, რეგიონებშიც აქტიურად მიმდინარეობს.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის; საპატრულო პოლიციის; საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის; განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის; დაცვის პოლიციის და ობიექტების დაცვის დეპარტამენტის იმერეთის რეგიონის თანამშრომლები ქუთაისში, ო. ჩხობაძის სახელობის მრავალპროფილურ სამედიცინო დაწესებულებაში აიცრნენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს შეუძლიათ, კვირის ნებისმიერ დღეს, წინასწარი რეგისტრაციის გარეშე აიცრან, როგორც „სინოვაკისა“ და „სინოფარმის“, ასევე, „ფაიზერის“ ვაქცინით.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების COVID-19-ის საწინააღმდეგო მასობრივი ვაქცინაციის პროცესი მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობს. ამ ეტაპზე, სამინისტროს 19 ათასზე მეტი თანამშრომელი უკვე ვაქცინირებულია.

„რომ არა რუსული ფაქტორი, ქართველები და აფხაზები მაინც შევრიგდებოდით“

ექსკლუზიური ინტერვიუ აფხაზ მარი შამბასთან

ნინო დოლიძე

მარი შამბა უფლებადამცველ მერაბ ბლადაძის თანამეცხედრეა – ერთმანეთი ბრიუსელში, ევროპარლამენტში გამართულ სემინარზე გაიცნეს და რამდენიმე წლის წინ შეუღლდნენ... მარისა და მერაბის სიყვარული, შეიძლება, ერთგვარ სახალხო დიპლომატიად ჩაითვალოს – ბოლოს და ბოლოს, მარი ცნობილი აფხაზური გვარის წარმომადგენელი, ამასთან, სერგეი შამბას ბიძაშვილია.

– მარი, ომის დროს სოხუმში იყავი?

– დიახ და სოხუმი კიტოვანისა და იოსელიანის შემოსვლიდან ორი თვის მერე დავტოვე.

– სერგეი შამბა შენი სისხლით ნათესავი თუ, უბრალოდ, მოგვარეა?

– ჩვენი ბაბუები ბიძაშვილები არიან. სერგეის მამა ძალიან მიყვარდა – სოხუმში პროკურორი იყო...

– სერგეი შამბა თავიდანვე სეპარატისტი იყო?

– სეპარატიზმი რა არის?.. აფხაზეთში ტანკებით რომ შეხვალ და წინააღმდეგობას გაგიწევ, ესაა სეპარატიზმი? მაგ ლოგიკით, აჭარაშიც სეპარატისტები ცხოვრობენ, ისინიც შეიარაღდნენ და კიტოვანი-იოსელიანის ბანდები აჭარის გასაძარცვად არ შეუშვეს... საერთოდ, ეს ძალიან დიდი, სიღრმისეული თემაა, რაზეც ლაპარაკი, რა თქმა უნდა, შემიძლია, მაგრამ მოდი, ეს თემა პოლიტიკოსებს დავუტოვოთ, თუმცა შემიძლია, გითხრა, რომ სერგეი შამბას ძალიან კარგი ოჯახი – შესანიშნავი დედა, ცოლი ჰყავს...

– მარი, ე.წ. აფხაზური სეპარატიზმის მამად სერგეის ძმა, ტარას შამბა ითვლება...

– აფხაზები სეპარატისტები არ არიან... ტარასს ძალიან კარგად ვიცნობ... მოსკოვში მთელ აფხაზებს ეხმარება...

– ვიდრე ომი დაიწყებოდა, აფხაზებს ქართველებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

– ძალიან კარგი!

– აბა, რა მოხდა?

– არ ვიცი... სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. აფხაზური საშუალო სკოლა დავამთავრე და ჩემს კლასში მხოლოდ აფხაზები კი არა, ქართველები, ებრაელები და ბერძნებიც სწავლობდნენ, თუმცა ნაციონალურ თემაზე არასოდეს გვიკამათია. ჩვენ, ყველას ჩვენი ეროვნება – კულტურა, ხელოვნება გვიყვარდა, მეგობრულად ვცხოვრობდით. მეტიც, აფხაზები და ქართველები ერთმანეთს ომის დროსაც ვეხმარებოდით.

– ანუ, ქართველებსა და აფხაზებს რუსები გვეომებოდნენ?

– ქართველები, აფხაზები და ჩრდილოკავკასიელები ომობდნენ... საერთოდ, აფხაზები ძალიან ცოტანი ვართ და თუ ამ ცოტას ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს გამოვაკლებთ, სამხედრო პირები ძალიან ცოტანი გამოდიან... როცა აფხაზეთში კიტოვანი და იოსელიანი შემოვიდნენ, აფხაზები იძულებულნი გახდნენ, ხელი იარაღისთვის მოეკიდათ...

– მარი, მაპატიე, გაწყვეტინებ, მაგრამ განმიმარტე: შენ აფხაზი ხარ თუ აფსუა?

– აფხაზი და აფსუა ერთიდაიგივეა და როცა ვკითხულობ, აფხაზი სხვაა, აფსუა კი – სხვაო, ძალიან მიკვირს. „ქართველი“ და „გრუზინი“, ან „საქართველო„ და „გრუზია“ ხომ ერთიდაიგივეა? ასეა აფხაზი და აფსუაც. უბრალოდ, აფხაზურად აფხაზი, აფსუაა.

– მაშასადამე, როგორც აფხაზი, აღიარებ, რომ იგივე ომის დაწყებისას, აფხაზეთში აფხაზები ცოტანი იყავით, არა?

– დიახ, ეს ცნობილი ფაქტია!

– ჰოდა, გამაგებინე, რაღა დამოუკიდებლობას ითხოვდით და ითხოვთ?

– რატომღაც მგონია, რომ ქართველები თავიანთი ისტორიკოსების მსხვერპლნი გახდნენ.

– რას გულისხმობ?

– თაობებს ჩააგონეს, რომ აფხაზეთში აფხაზები საიდანღაც ჩამოვიდიდნენ.

– და განა, ასე არაა?

– არა.

– კარგი, რა, მარი, აფხაზეთი ხომ საქართველოს ძირძველი ტერიტორიაა?!

– ჩვენ ოდითგანვე ერთად, მეზობლურად, ერთი სახელმწიფოს – საქართველოს შემადგენლობაში ვცხოვრობდით და ასეც გავაგრძელებდით, რომ არა ეს წყეული ომი. აფხაზების ისტორია სისხლიანი ისტორიაა! აფხაზები რუსეთისგან დასჯილი ერია!

– მარი, რაკილა აფხაზი ქალი აღიარებ, რომ აფხაზები რუსეთისგან არიან დასჯილები, ესე იგი, ეს იმას ნიშნავს, რომ ქართველები და აფხაზები, რომლებიც საუკუნეები ძმურად ცხოვრობდნენ, ერთმანეთს რუსეთმა გადაამტერა?

– ეს ინტრიგაა!

– ანუ, რუსული ინტრიგა?

– რუსეთს აფხაზეთში რაღაც ტონუსი რომ დაეჭირა, ამ თემით სპეკულირებდა!

– რომელი თემით?

– აფხაზეთის ისტორია ცოტა სხვა ისტორიაა... ოსებს ოსეთი აქვთ, აზერბაიჯანელებს – აზერბაიჯანი, სომხებს – სომხეთი, მაგრამ აფხაზებს სხვა მიწა არ აქვთ!.. აფხაზები ძალიან თავმოყვარეები ვართ და ჩვენი გაბრაზება არ შეიძლება!

– ისე, ქართველებიც თავმოყვარეები ვართ და არც ჩვენი გაბრაზება შეიძლება!

– აფხაზებმა ცუდი, შეიძლება, რუსებს აპატიონ, მაგრამ ქართველებს არ აპატიებენ!

– რატომ?

– იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის ძმურად ვცხოვრობდით! რუსეთი კი, იმპერიულად მოქმედებდა, თუმცა სიტუაცია იქამდე, სადამდეც მივიდა, ქართველებმაც მიიყვანეს.

– მარი, ქართველები რა შუაში ვართ?

– ჩემი სახლი ქართველებმა გაძარცვეს!

– მოდი, ასე ვთქვათ: ქართველებსა და აფხაზებს ურთიერთმტრობისკენ რუსეთმა წაგვიფითილა. არ მეთანხმები?

– რატომ არავინ კითხულობს, კიტოვანს იარაღი ვინ მისცა და დღეს სადაა?

– ესე იგი, ფიქრობ, რომ კიტოვანს ზურგს კრემლი უმაგრებდა?

– დიახ!

– აფხაზები რუსულ პროვოკაციას რატომ წამოეგეთ?

– ქართველები რატომ წამოეგეთ? კიტოვანის ბანდა რომ არ შესულიყო, თავის დროზე, ხალხი აჭარაშიც იარაღდებოდა, ან დაგავიწყდათ, კიტოვან-იოსელიანმა სამეგრელოს რა გაუკეთეს! როცა ამბობენ, აფხაზები ქართველები არიანო, სწორი არაა. შეიძლება, კარგი ყოფილიყო, რომ ჩვენც ქართველები ვიყოთ, მაგრამ აფხაზები აფხაზები არიან! კიტოვანი და იოსელიანი აფხაზეთში ისე შემოვიდნენ, როგორც გერმანელი ფაშისტები!.. მხოლოდ დედაჩემი კი არა, ბიძაჩემიც ტყვედ აიყვანეს და გამოვისყიდეთ.

– სხვათა შორის, აფხაზები ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობდნენ...

– ამის შესახებ ბევრჯერ მსმენია, მაგრამ დამამტკიცებელი ფაქტები არ მინახავს.

– რატომ გჯერა, რომ აფხაზებს ქართველები კლავდნენ?

– ჩემი და ბებიაჩემის სახლი გაძარცვეს... როცა ბებიაჩემის სახლს ძარცვავდნენ, შემთხვევით, ჩემი მეგობარი მივიდა – ბებიას საჭმელი მიუტანა და კინაღამ გააუპატიურეს, მაგრამ ქართველმა მეზობლებმა უშველეს! სხვათა შორის, ჩემი ქალიშვილი ქართველია...

– მარი, გულწრფელად მითხარი, ომის შემდეგ, ქართველების მიმართ აგრესია გქონდა?

– არა და შეიძლება, იმიტომ, რომ ჩემი ოჯახიდან არავინ დაღუპულა, თუმცა ვიცი აფხაზური ოჯახი, საიდანაც ომში ოთხი ვაჟი დაიღუპა... საერთოდ, ბოროტმოქმედები აფხაზებშიც არიან და ქართველებშიც! ისინი, რომლებიც საშინელებებს სჩადიოდნენ, არც ქართველები იყვნენ და არც – აფხაზები. ისინი დამნაშავეები იყვნენ! ამიტომ, მომხრე ვარ, რომ ე.წ. მეორე ნიუნბერგის პროცესი გაიმართოს, რომელზეც ორივე მხარის დამნაშავეები გასამართლდებიან! აფხაზებს და ქართველებსაც მხოლოდ ამის შემდეგ მოგვეცემა საშუალება, რომ კარგად და მშვიდობიანად ვიცხოვროთ! სოხუმში სახლი მაქვს, ნათესავებიც მყავს, რომლებიც ჩემს მეუღლეს, მერაბ ბლადაძეს და მის ნათესავებს ელოდებიან, რომ ჩავიდნენ და სუფრა გაუშალონ, მაგრამ არ შემიძლია, ჩემი ქმარი სოხუმში ჩავიყვანო!

– ე. წ. მეორე ნიუნბერგის პროცესზე, ქართველების, აფხაზებისა და რუსების მხრიდან, შენი აზრით, ვინ უნდა გასამართლდნენ?

– გამოძიება უნდა ჩატარდეს და გაირკვეს, კონფლიქტი რამ წარმოშვა. საერთოდ, ამ ომმა ორივე მხარეს ძალიან ბევრი მითი შექმნა, მაგრამ სიმართლე ქართველებმაც უნდა გაიგონ და აფხაზებმაც. სიმართლე უნდა ითქვას, სრული ლუსტრაცია მოხდეს და გაირკვეს, აგენტები ვინ იყვნენ და ვის დავალებებს ასრულებდნენ...

– სიმართლის გარკვევა, გეთანხმები, აუცილებელია, მაგრამ შენი აზრით, მთავარი დამნაშავეები ვინ არიან?

– პირველ რიგში, კიტოვანი...

– ადვოკატობას არ ვაპირებ, მაგრამ კიტოვანი სად იყო, როცა 1989 წელს, აფხაზეთში სიტუაცია დაიძაბა. ზოგი ამბობს, რომ ყველაფერი ლიხნის კრებით დაიწყო...

– ასეთი შეკრებები მხლოლოდ აფხაზეთში კი არა, მაგალითად, ირლანდიაშიც წელიწადში 25-ჯერ იმართება, მაგრამ ხალხი შეიკრიბოს და ილაპარაკოს – ამის სერიოზულად აღქმა როგორ შეიძლება?!

– რუსეთი ოკუპანტია?

– დიახ, ოკუპანტია! როგორი სისხლისღვრაც უნდა ყოფილიყო, რომ არა რუსული ფაქტორი, ქართველები და აფხაზები მაინც შევრიგდებოდით და ეს სიმართლეა!

– ის, რაც 1992 წელს, აფხაზეთში მოხდა, როგორ ფიქრობ, ქართულ-რუსული ომი იყო თუ ქართულ-აფხაზური?

– ეს სამმხრივი ომი იყო... სხვათა შორის, დარწმუნებული ვარ, რომ კიტოვანი რუსული პროექტი იყო! ყველა გაიძახის, აფხაზები ცუდები არიანო, მაგრამ კიტოვანზე, რომელიც რუსეთში, გენერლების აგარაკზე ცხოვრობს, რატომღაც არავინ არაფერს ამბობს! შერიგება რომ დაიწყოს, ქართველებმა კიტოვანის გადმოცემა უნდა მოითხოვონ!

მაია მიშელაძე, 593-51-90-12

აზერ სულეიმანოვმა ნაციონალური მოძრაობა დატოვა. ინფორმაცია ამის შესახებ, თავად სულეიმანოვმა გაავრცელა და სოციალურ ქსელში დაწერა, რომ დროებით პოლიტიკურ საქმიანობას წყვეტს. მისივე თქმით, ამ გადაწყვეტილების მიზეზი ისაა, რომ პარტიაში მყოფმა ადამიანებმა ამომრჩევლების შეხედულებები სათანადოდ არ შეაფასეს.

გაქცევა ენმ-დან

ვისთან ჰქონდა კონფლიქტი და რატომ დატოვა აზერ სულეიმანოვმა პარტია

აზერ სულეიმანოვმა, რომელიც საქართველოს პარლამენტის ოთხგზის დეპუტატი გახლდათ, ნაციონალური მოძრაობა 3 აგვისტოს დატოვა. აი, რას წერს სულეიმანოვი Facebook-ის საკუთარ გვერდზე:

„ძვირფასო თანამემამულენო! თქვენ, მრავალი წლის განმავლობაში, ყოველ რთულ სიტუაციაში, ჩემთან ერთად იყავით და ყოველთვის გვერდში დამიდექით. სწორედ თქვენ, ყოველთვის ჩემი სიამაყის წყარო იყავით. ამისთვის თითოეულ თქვენგანს მადლობას გიხდით! თუ კი რაიმე არასწორი ქმედებები მქონია თქვენს წინაშე, ამიტომ ბოდიშს გიხდით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის ადვილი არ არის, დღეს მე უნდა მივიღო ძალიან რთული გადაწყვეტილება. მე ვტოვებ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიას, რომელთანაც მრავალი წელია, ერთად ვიყავი. ამის შემდეგ, მე დროებით შევაჩერებ ჩემს პოლიტიკურ საქმიანობას. ამ გადაწყვეტილების მიზეზი იყო ის, რომ პარტიაში მყოფმა ადამიანებმა სათანადოდ არ შეაფასეს ჩვენი მომსახურება და ამომრჩევლის შეხედულებები. ბოლო წლის მოვლენები კი ამის ნათელი მაგალითია.

პარტიაში ჩემი ბევრი მეგობრის პატივისცემის გამო, არ მინდა, რაიმე დეტალების გამჟღავნება. ვფიქრობ, ამ ყველაფრის მიუხედავად, თქვენს წინაშე უსამართლობა იქნებოდა, თუკი გავაგრძელებდი ჩემს საქმიანობას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პარტიაში. უღრმესი მადლობა ყველას!“

მართალია, აზერ სულეიმანოვი პარტიის დატოვების რეალურ მიზეზებს არ ასახელებს, მაგრამ კარგად ინფორმირებული წყარო „ვერსიას“ ეუბნება, რომ ამ გადაწყვეტილების მისაღებად, მას რამდენიმე სერიოზული მიზეზი ჰქონდა.

„ვერსიის“ კონფიდენტი წყაროს ცნობით, აზერ სულეიმანოვი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებს ჯერ კიდევ შარშან გაუნაწყენდა.

„2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს, სულეიმანოვს ნაციონალური მოძრაობის სიის ათეულში უნდოდა მოხვედრა, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელებმა ჩააჩოჩეს და მის ნაცვლად, სიაში აბდულა ისმაილოვი შეიყვანეს, რომელთანაც აზერ სულეიმანოვს დიდი უთანხმოება ჰქონდა. წელს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, აზერ სულეიმანოვს მარნეულის საკრებულოს წევრობა და პარალელურად, საკრებულოს ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობა სურდა, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელებმა ამაზეც უარი უთხრეს. სხვათა შორის, თუკი საკრებულოს წევრი გახდებოდა და იმავდროულად, ფრაქციასაც უხელმძღვანელებდა, სულეიმანოვის ხელფასი, დაახლოებით, 2 500 ლარი იქნებოდა, თუმცა როგორც გითხარით, მას წელსაც უარი განუცხადეს და როგორც ჩანს, სულეიმანოვისთვის ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა“, – გვიყვება კონფიდენტი წყარო.

წყაროს ინფორმაციის გადამოწმება „ვერსიამ“ თავად აზერ სულეიმანოვთან სცადა, მაგრამ მრავალი მცდელობის მიუხედავად, მან ჩვენს ზარებს არ უპასუხა. ამის შემდეგ, კითხვებიც გავუგზავნეთ, თუმცა ამაოდ.

ახლა, ცოტა რამ, აზერ სულეიმანოვის შესახებ, რომელიც წლების მანძილზე, ნაციონალური მოძრაობის წევრი და საქართველოს პარლამენტის ოთხგზის დეპუტატი გახლდათ.

აზერ სულეიმანოვი 1967 წლის 27 ივლისს, მარნეულში დაიბადა. დაამთავრა აზერბაიჯანის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტი. 1984-1991 წლებში, ცეკავშირის მარნეულის განყოფილების გასტრონომში მუშაობდა გამყიდველად; 1992-1994 წლებში, სხვადასხვა მაღაზიების გამგე იყო; 1995-1997 წლებში, მუშაობდა „მარნეულის სამომხმარებლო საზოგადოებაში“ ეკონომისტად; 1997 წელს, მუშაობა დაიწყო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ჯერ ეკონომიკური განყოფილების უფროსის მოადგილედ, ხოლო შემდეგ უფროსად; 1999 -2004 წლებში, საქართველოს მე-5 მოწვევის პარლამენტის წევრი (მარნეულის მაჟორიტარი) იყო, საარჩევნო ბლოკიდან „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი“; 2004-2008 წლებში, ქვემო ქართლის გუბერნატორის მოადგილე გახლდათ; 2008-2012 წლებში, საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი (მარნეულის მაჟორიტარი) იყო საარჩევნო ბლოკიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – გამარჯვებული საქართველოსთვის“; 2012-2016 წლებში, საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი (მარნეულის მაჟორიტარი) გახლდათ საარჩევნო ბლოკიდან „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – „მეტი სარგებელი ხალხს“; 2016-2020 წლებში, საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო პარტიული სიით – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ძალა ერთობაშია“, აზერ სულეიმანოვი მე-13 საარჩევნო ოლქის (მარნეულის მუნიციპალიტეტი და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ნაწილი) მაჟორიტარობის კანდიდატად წარადგინა. მან ხმების 38.89% (23 502 ხმა) მიიღო და მეორე ადგილზე გავიდა.

2021 წლის 3 აგვისტოს, აზერ სულეიმანოვმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა.

თათია გოჩაძე
598-43-50-34

მამუკა არეშიძე: „დასავლეთის ქმედება მეძავი ქალის საქციელს ჰგავს“

უნდა ველოდოთ თუ არა კრემლისგან ახალ პროვოკაციებს და რა საკითხში თვლის რუსეთი საქართველოს მოკავშირედ

რუსეთის პრეზიდენტმა, 4 აგვისტოს, ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის თანახმადაც, ოკუპირებულ ცხინვალთან ისეთი შეთანხმება გაფორმდება, როგორიც ამჟამად, რუსეთს მხოლოდ ტაჯიკეთთან აქვს გაფორმებული. პროექტი და თხოვნა რუსეთში წლების წინ იყო გაგზავნილი, მაგრამ მოსკოვი მხოლოდ ახლა ამოქმედდა. განკარგულების თანახმად, მეორე ქვეყნის მოქალაქეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, პირველი ქვეყნის მოქალაქის სტატუსის დათმობის გარეშე; ორმაგ მოქალაქეს შეუძლია სამხედრო სამსახური გაიაროს იმ ქვეყანაში, სადაც ის მუდმივად იცხოვრებს; რომელიმე ერთ ქვეყანაში მანამდე გავლილი სამხედრო სამსახური მხედველობაში იქნება მიღებული მეორე ქვეყნის მიერაც; ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირი სოციალური დაცვით, სამედიცინო მომსახურებითა და განათლების შესაძლებლობებით სარგებლობს იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, რომელშიც ის მუდმივად ცხოვრობს; თუმცა არცერთ მხარეს არ ეზღუდება უფლება – მიანიჭოს უფლებები და პრივილეგიები არა მის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირს, რომელიც ორმაგი მოქალაქეობით სარგებლობს; შეთანხმება ძალაში იქნება 5 წლის განმავლობაში და ავტომატურად გაგრძელდება ყოველი მომდევნო 5-წლიანი ვადით, თუკი რომელიმე მხარე 6 თვით ადრე არ გამოხატავს სურვილს შეთანხმების შეწყვეტის შესახებ.

ცხინვალის საოკუპაციო რეჟიმი კმაყოფილია მოსკოვის გადაწყვეტილებით, რომ რუსეთის მოქალაქეობა მიეცეს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის იმ მცირე ნაწილსაც, რომელსაც დღემდე რუსეთის პასპორტი არ ჰქონდა. რატომ მიიღო პუტინმა ეს გადაწყვეტილება მაინცდამაინც ახლა? – „ვერსია“ კავკასიის საკითხების ექსპერტს, კონფლიქტოლოგ მამუკა არეშიძეს ესაუბრა:

– პუტინი ახლა იმიტომ გააქტიურდა, რომ კავკასიაში, ყარაბაღის მოვლენების ფონზე, გეოპოლიტიკური ვითარება იცვლება. დასავლეთი ცდილობს, დაკარგული პოზიციები დაიბრუნოს და ამ კუთხით ძალიან აქტიურია. წვრთნების ის უზარმაზარი ფორმატი, რომელიც ახლა სამხრეთ კავკასიაში – საქართველოში, კერძოდ, შავი ზღვის აუზში მიმდინარეობს, ქართული საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება, არადა, ნატო-ს ამ აქტიურობის გამო, რუსეთი კონტრღონისძიებებს ანხორციელებს.

წვრთნების გარდა, ნუ დაგვავიწყდება, რომ თურქეთი, როგორც ინდივიდუალური პოლიტიკური მოთამაშე, სამხრეთ კავკასიის სამხედრო პოლიტიკურ სივრცეში, ასი წლის შემდეგ, ძალიან აქტიურად დაბრუნდა და აზერბაიჯანთან ბაზის გახსნას, ასევე, აზერბაიჯანისა და თურქეთის ერთობლივი სამხედრო კონტიგენტის ჩამოყალიბებას გეგმავს. ყველაფერი ეს კი რუსეთისთვის „წითელი ნაჭრის“ ტოლფასია.

ამას ემატება საქართველოში მიმდინარე პროცესები და აქედან გამომდინარეობს პუტინის გეგმა, რომელსაც ამუშავებს და ეს არაღიარებული ტერიტორიების – აფხაზეთის, ე.წ. სამხრეთ ოსეთის, დნესტრისპირეთის, ლუგანსკის, დონეცკისა და ზოგი სხვა ტერიტორიის ერთი მმართველობის ქვეშ გაერთიანებაა.

– ანუ, ამ ტერიტორიების ხელახალი ანექსიის საშიშროება დგას?

– ეს მოქალაქეობის საკითხი ანუ თეატრალური ფრაგმენტია იმიტომ, რომ რუსეთის მოქალაქეობას ისედაც იღებდნენ და უნდა ითქვას, რომ ცხინვალის რეგიონის მაცხოვრებელთა თითქმის 100%, ისედაც რუსეთის მოქალაქეა.

მოკლედ, ეს უფრო გზავნილია, რომ რუსეთი თავისას არ მოიშლის, მიდგომებს არ შეცვლის, ანექსიას გააგრძელებს და დასავლეთის ზეწოლა მასზე გავლენას არ მოახდენს.

– საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ზემოთქმულზე საპროტესტო განცხადება გაავრცელა. ამის გარდა, სხვა ბერკეტი, თუნდაც დასავლეთის თანამეგობრობის ყურადღების მისაქცევად გვაქვს?

– მაღალი პოლიტიკის თვალსაზრისით, საქართველოს ახლა შანსი არ აქვს, მდგომარეობა შეცვალოს, რადგან დასავლეთის ქმედება, ხშირ შემთხვევაში, „მეძავი ქალის“ საქციელს ჰგავს – ერთი მხრივ, სანქციებს უწესებს რუსებს, ვითომ იმ ფასეულობის ხელყოფისთვის, რაც მსოფლიოში აღიარებულია და მეორე მხრივ, მაგალითად, უკრაინაზე უპრეცედენტო ზეწოლა ხორციელდება მაკრონისა და მერკელის მხრიდან, რათა დათმოს პრინციპები, რომელსაც დასავლეთი აქამდე მხარს უჭერდა. ყველაფერი იცვლება ახალ გაზსადენზე, რომელიც გერმანიისთვის მნიშვნელოვანია და უკრაინის ინტერესები არავის აღელვებს.

ჩვენი ოპოზიცია რომ გაჰკივის, არიქა, საქართველო რადარებიდან გაქრაო, მეტი რაღა აქტიური უნდა ვიყოთ?! ნატო-ს წვრთნები დღეს ჩვენს ტერიტორიაზე მიმდინარეობს და სამხრეთ კავკასიაში ასეთი მასშტაბის წვრთნები, სხვათა შორის, აქამდე არასდროს ყოფილა. სხვა საკითხია, რაშიც საქართველოს ხელისუფლებას ვაკრიტიკებ, რომ აბსოლუტურად შეიზღუდა თავი ე.წ. რბილი ძალის გამოყენების თვალსაზრისით ოკუპირებულ ტერიტორიებზე. იქ მაცხოვრებელ ადამიანებზე მეტი ზემოქმედება უნდა მოახდინოს. მხოლოდ ერთი – ჯანდაცვის პროგრამა, საკმარისი არაა. როდესაც აქ ხან აფხაზეთისა და ხან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ე.წ. უმაღლესი თანამდებობის პირი მკურნალობს და შენ აქედან შედეგს ვერ იღებ, ეს ნონსენსია.

– ბატონო მამუკა, საქართველოში წინასაარჩევნო პოლიტიკური ვითარება მყიფეა. შარლ მიშელის დოკუმენტს ხელი ჯერ ოპოზიციურმა პარტიამ არ მოაწერა და ახლა, შეთანხმება მმართველმა ძალამაც გაანულა. ამ ფონზე, რუსეთის ზემოხსენებული მკვეთრი ნაბიჯი ხელისუფლების ერთგვარი გაფრთხილება ხომ არ არის ანუ კრემლისგან პროვოკაციებს უნდა ველოდოთ?

– რუსეთის მხრიდან სამხედრო აქტიურობას არ ველი. ყარაბაღის მოვლენების შემდეგ, რუსეთმა თავისას მიაღწია – თურქეთის მსგავსად, მასშტაბურად დაბრუნდა სამხრეთ კავკასიურ პოლიტიკურ სივრცეში. რუსეთს დასავლეთის კი არა, არამედ, თურქეთის აქტიურობა აინტერესებს სამხრეთ კავკასიაში და ეს მისთვის აბსოლუტურად მიუღებელია. აქ მოკავშირედ, გარკვეულწილად, საქართველოს მოიაზრებს, რადგან თურქეთის მიმართ ქართული საზოგადოების ნაწილის განწყობა იცის, მაგრამ ვიდრე რუსეთი თავის გადაწყვეტილებებს უკან არ წაიღებს, ქართული საზოგადოება რუსეთის აქტიურობის წინააღმდეგიცაა. ე.ი. ორ ცეცხლშუა ვართ. არავითარი გაფრთხილება, დეკორატიული ღონისძიებები და თეატრალიზებული წარმოდგენა აღარ მუშაობს, რაც მოსკოვში ვერაფრით გაიგეს. კი, არის ანტითურქული განწყობები ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განწყობა რუსეთის სასარგებლოდ შეიცვლება.

დიდ ქვეყნებს, სიტუაციიდან გამომდინარე, მიღებული ფორმატების შეცვლა არ უყვართ, ამის ნათელი მაგალითია აშშ-ისა და რუსეთის საქციელი. ერთადერთი ქვეყანა დასავლურ სამყაროში, რომელიც ბევრად უფრო მოქნილია კავკასიურ პოლიტიკაში, ბევრად მეტი გამოცდილება აქვს და სწორ ნაბიჯებს დგამს, დიდი ბრიტანეთია. დანარჩენები იმ კალკის მიხედვით მოქმედებენ, რომელიც შემუშავებული აქვთ, გინდა რუსეთი იყოს, გინდა – აშშ და გინდ – ჩინეთი.

სიტუაციაზე მორგება არც ერთს უნდა. ყველას უნდა, რომ მიღებული ფორმულა, მაგალითად, უგანდაში და საქართველოში ერთნაირად მუშაობდეს.

რა კაცია და რატომ უნდა თბილისის მერობა „ლეიბორისტ“ მიხეილ ქუმსიშვილს

თათია გოჩაძე, 598-43-50-34

ლეიბორისტულმა პარტიამ თვითმმართველობის არჩევნებისთვის დედაქალაქის მერობისა და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატები დაასახელა. პარტიის ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ თბილისში მერობის კანდიდატი მიხეილ ქუმსიშვილი იქნება, საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის კი ლაშა ჩხარტიშვილი იბრძოლებს:

„ფრონტის წინა ხაზზე, დღეს ვუშვებთ თბილისის მერობის კანდიდატად პარტიის ახალგაზრდული და ევროპული ახალგაზრდულის უნიჭიერეს ახალგაზრდა ლიდერს, მიხეილ ქუმსიშვილს და საქართველოს ფიცხ-ვერცხლ ნაჭამ მოღვაწე, ცნობილ პოლიტიკოსს, ეკოლოგს, მებრძოლს, ლაშა ჩხარტიშვილს“, – ასე წარადგინა ქვეყნის მთავარმა ლეიბორისტმა საკუთარი პარტიის კანდიდატები. „ვერსია“ მიხეილ ქუმსიშვილს ესაუბრა:

„პოლიტიკაში ახალი სახეები უცხო პლანეტიდან ვერ ჩამოვლენ“

– მიხეილ, ფართო საზოგადოება არ გიცნობთ. თქვენზე მომიყევით...

– ჩემი სახელი და გვარი რომ მაინცდამაინც ცნობილი არ იყოს, ამაში დიდ პრობლემას ვერ ვხედავ, რადგან საზოგადოება ითხოვს სიახლეებს. პოლიტიკაში ახალი სახეები უცხო პლანეტიდან ვერ ჩამოვლენ და წინ ისევ ჩვენი ქვეყნიდან, ქალაქიდან უნდა წამოიწიონ, მით უმეტეს, დიდი ხანია, პოლიტიკაში ვარ ჩართული. 17 წლიდან ამ პარტიაში ვარ და 11 წელია, ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის თანამონაწილე გახლავართ. 2019 წელს, რამდენიმე მეგობართან ერთად, მოძრაობა „გაბედე“ ჩამოვაყალიბე, რომელიც საკმაოდ წარმატებული იყო. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, მეყარა კენჭი თბილისის მერობაზე.

– პროფესიით ვინ ხართ?

– ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული და ამას გარდა, ბევრი შესაბამისი პოლიტიკური კურსიც გავიარე, მათ შორის, ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრიც ვარ, რომელიც პოლიტიკაში ახალგაზრდების განვითარებას ემსახურება...

– მოძრაობა „გაბედე“, მართლაც, აქტიურად შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში, თუმცა ძალიან მალევე გაქრა. რატომ შეწყვიტეთ პოლიტიკური აქტივობა?

– „გაბედე“ ერთადერთი მოტივით შეიქმნა, რომ მიგვეღწია უკეთესი, პროპორციული საარჩევნო სისტემისთვის. ეს მოძრაობა აერთიანებდა სხვადასხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდულ გუნდებს. ვთანამშრომლობდით იმ მიზნის გარშემო, სადაც გადაკვეთის წერტილები გვქონდა.

– კი, მაგრამ სრულად პროპორციულ სისტემას ხომ ვერ მიაღწიეთ?

– მართალია, სრულად პროპორციულს ვერა, მაგრამ ჩვენი აქტიური ბრძოლის შედეგად უკეთესი, გაჯანსაღებული სისტემა მივიღეთ, რაც გულისხმობდა 120/30-ზე პროპორციას. ეს ჩავთვალეთ გარკვეულ მიღწევად და საკმარისად, რომ „ქართული ოცნება“ შეცვლილიყო და მართლაც, ასე იქნებოდა, რომ არ გაეყალბებინათ. შემდეგ კი დაიწყო წინასაარჩევნო სამზადისი და რადგანაც „გაბედე“ იყო მრავალპარტიული პლატფორმა, ყველა პარტია საკუთარ კამპანიაში ჩაერთო და აქტიური მოძრაობის საჭიროება აღარც იყო, ხალხი სხვა საკითხებზე გადაერთო.

– წელან თქვით, რომ არსებული პოლიტიკური ველი თქვენთვის მიუღებელია და როგორც ვხვდები, ხელისუფლებასთან ერთად, ოპოზიციასაც მოიაზრებთ. აქვე აღვნიშნავ, რომ თქვენი პარტია ერთადერთია, რომელმაც ბოიკოტი ბოლომდე შეინარჩუნა. ეს გადაწყვეტილება ახლაც სწორად მიგაჩნიათ?

– დიახ, ეს სწორი გადაწყვეტილებაა და ოპოზიციაც რომ ასე მოქცეულიყო, დღეს აბსოლუტურად განსხვავებული სურათი გვექნებოდა. მინიმუმ, ლეგიტიმური აღარ იქნებოდა გაყალბებული პარლამენტი და საერთაშორისო თანამეგობრობა მაქსიმალურად იმუშავებდა, რომ საქართველოში სტაბილურობა და ჯანსაღი დემოკრატია ყოფილიყო. დარწმუნებული ვარ, რიგგარეშე არჩევნებს მივაღწევდით და ახლა თვითმმართველობის არჩევნებზე და ჰიპოთეტურ რეფერენდუმზე ფიქრი და საუბარი კი არ მოგვიწევდა, არამედ, საპარლამენტო არჩევნების სამზადისში ვიქნებოდით. მხოლოდ ლეიბორისტული პარტია რომ აღმოჩნდა ის პოლიტიკური ძალა, რომელმაც თავისი სიტყვა შეასრულა და საკუთარ პრინციპებს არ უღალატა, დანარჩენი პარტიებიდან კი შვიდივე პარლამენტში რომ შევიდა, ეს, ბუნებრივია, ჩემთვის ძალიან სერიოზული პროტესტის საბაბია, რადგან როცა ასეთ არაპრინციპულობას უყურებს საზოგადოება, ლოგიკურია, რომ იმედგაცრუება, ნიჰილიზმი და უნდობლობა ჩნდება. მინდა, რომ განსხვავებული სტანდარტები დავანახოთ ხალხს.

– ამ გადაწყვეტილებით დაკარგეთ დაფინანსება, საარჩევნო კომისიებში წარმომადგენლების ადგილები... პოლიტიკაში ემოციების ადგილი ნაკლებადაა და ემოციები გვერდზე რომ გადავდოთ, პარლამენტში არშესვლით, სტრატეგიულად სწორი ნაბიჯი გადადგით?

– დანარჩენმა ოპოზიციურმა პარტიებმა დაფინანსება და კომისიის წევრები არ დაკარგეს, მაგრამ ამით რა შეიცვალა? – დააკლდათ რეიტინგი. IRI-ს ბოლო კვლევა ამაზე მეტყველებს. ლეიბორისტული პარტია, რომელიც IRI-ს კვლევებში მაინცდამაინც მოწინავე პოზიციაზე არ იყო ხოლმე, ახლა ოთხეულშია, ის პარტიები კი, რომლებიც პარლამენტში შებრძანდნენ, უკან არიან გადასულნი. ნაციონალურ მოძრაობას წინა კვლევაში 18% ჰქონდა, ახლა კი 14% აქვს. „ქართულ ოცნებას“ 9% აქვს დაკლებული წინა კვლევასთან შედარებით ანუ ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, რა „სარგებელიც“ ნახა ლეიბორისტულმა პარტიამ პარლამენტში არშესვლით, ისაა, რომ ხალხმა დაიფასა სიტყვის მიმართ ერთგულება. როცა პოლიტიკოსის სიტყვა არ ფასობს, ის პოლიტიკოსი აღარაა, ნორმალურ და წესიერ გარემოში ასე უნდა ხდებოდეს. პოლიტიკოსის სიტყვას იმხელა წონა უნდა ჰქონდეს, რომ ხალხს სჯეროდეს, ის ამ სიტყვას შეასრულებს. მესმის, რომ საქართველოში დაპირებებს ისე გასცემენ, თვითონაც კი იციან პოლიტიკოსებმა, რომ არ შეასრულებენ და ერთმანეთს ატყუებენ, მაგრამ ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს. სწორედ ამის შედეგია, რომ მეტი ნდობა აქვს დღეს ჩვენს პარტიას, თუმცა სამუშაო ბევრია. მხოლოდ ის ფაქტი, რომ პარლამენტში არ შევედით, არაა საკმარისი, ფართო მხარდაჭერა მოვიპოვოთ. ჩვენი ხედვები და პროგრამა მაქსიმალურად უნდა წარვუდგინოთ ხალხს, ახალი სახეები გამოვკვეთოთ და ყველას დავანახოთ, რომ ეს არის ძალა, რომელსაც ცვლილებების მოტანა შეუძლია.

– რას გულისხმობს თქვენი საარჩევნო პროგრამა, რა გზავნილი გაქვთ საზოგადოებასთან, მხარი რატომ უნდა დაგიჭირონ?

– თუ ადმაიანებს უნდათ რეალური, სისტემური და არა დეკორაციული და იმიჯური ცვლილებები, მაშინ ლეიბორისტული პარტია არის ერთადერთი ძალა. ათეული წელია, ვეუბნებით ხალხს, აგვირჩიონ, რადგან საჭიროა ადამიანებზე, სოციალურ სამართლიანობაზე ორიენტირებული პოლიტიკური ძალა, რომელიც არ წარმოადგენს მსხვილ ბიზნესს და არის საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენელი, მისი ინტერესების დამცველი. წლების განმავლობაში, ეს ოლიგარქია, მსხვილი ბიზნესი ვერ მოვიშორეთ პოლიტიკიდან და შესაბამისად, კორუფცია, ნეპოტიზმი და ხალხზე არმორგებული პოლიტიკა გვაქვს. თუ გვსურს, რომ საშუალო და დაბალი ფენა წინა პლანზე ვიხილოთ, მონების ნაცვლად, ადამიანებად ჩათვალოს ხელისუფლებამ ისინი, მაშინ საჭიროა „ლეიბორისტული პარტიის“ არჩევა. ჩვენს პროგრამაზე მუშაობას ვასრულებთ, გვექნება პრეზენტაცია და ბევრ საინტერესო საკითხზე გავაკეთებთ აქცენტს – როგორც ქალაქის ურბანულ განვითარებაზე, ასევე, გამწვანებაზე და ა.შ. აქვე იმასაც ვიაზრებთ – ეს არ არის სტანდარტული თვითმმართველობის არჩევნები, არამედ, უნდა შეძლოთ ის, რომ ამ არჩევნებით, რიგგარეშე არჩევნების დასანიშნად, რეალური საფუძველი შევქმნათ.

– ისე, არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის იმედი გაქვთ?

– მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციით არ ვარ კმაყოფილი, ხელისუფლება კიდევ უფრო უარესია და სამწუხაროდ, ქართულ მოსახლეობას უწევს ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთება, აქ კი უარესი, ცალსახად, „ქართული ოცნებაა“. დიდი იმედი მაქვს, რომ ჩვენ დაგვიჭერენ მხარს, თუმცა თუ ასე არ მოხდა, ამ ადამიანებს მოვუწოდებ, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეცდომა დაუშვეს, მაინც ოპოზიციურ ფლანგს დაუჭირონ მხარი, რადგან 9 წელია, „ქართული ოცნება“ მართავს ამ ქვეყანას და ერთი კომპონენტითაც კი ვერ წავიწიეთ წინ. მხოლოდ დესტაბილიზაცია, დაძაბულობა, ურთიერთდაპირისპირება და ზიზღი არის „ოცნების“ სავიზიტო ბარათი.

– ფიქრობთ, რომ მრავალპარტიული პარლამენტი არის ქვეყნის სწორ გზაზე დაყენების ერთადერთი გზა?

– კი, რა თქმა უნდა, ერთპარტიული პარლამენტი, სულ რომ „ლეიბორისტული მოძრაობა“ იყოს, ძალიან ცუდი იქნება ქვეყნისთვის, რადგან ერთპარტიულ სისტემაში იკარგება ბალანსი და დაბალანსებული სისტემაა აუცილებელი იმისთვის, რომ ქვეყანამ იხეიროს.

ახალი ქართველი მილიარდერის სრული დოსიე

ვინ არის, რას წარმოადგენს და როგორ გადაასწრო Forbes-ის მილიარდერთა სიაში ბიძინა ივანიშვილს ყაზახეთში მცხოვრებმა მიხეილ ლომთაძემ

მაია მიშელაძე
593-51-90-12

Forbes-ის მილიარდერთა სიაში ახალგაზრდა ქართველი მილიარდერი, მიხეილ ლომთაძე დაწინაურდა, რომელმაც ბიძინა ივანიშვილსაც კი გადაასწრო. ყაზახური კომპანია Kaspi Bank-ის აღმასრულებელი დირექტორი მიხეილ ლომთაძე, რომელიც ამჟამად ალმა-ატაში ცხოვრობს, Forbes-ის სიის 596-ე ადგილს, ბიძინა ივანიშვილი კი 632-ე ადგილს იკავებს. Forbes-ის მონაცემებზე დაყრდნობით, მიხეილ ლომთაძის ქონება 5.1 მილიარდ დოლარადაა შეფასებული, ხოლო ივანიშვილის – 4.8 მილიარდ დოლარად. 46 წლის ქართველი ბიზნესმენი, ყაზახური ფინტექ-კომპანია Kaspi Bank-ის აღმასრულებელი დირექტორი, მიხეილ ლომთაძე ამავე კომპანიის აქციონერიც გახლავთ.

Kaspi Bank-ი ლონდონის საფონდო ბირჟაზე

ყაზახური ფინტექ-კომპანია Kaspi Bank-ის აქციები ლონდონის საფონდო ბირჟაზე შარშან განთავსდა. 2020 წლის განმავლობაში, ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LSE), ეს ყველაზე მსხვილი განთავსება იყო. Forbes-ის მონაცემებზე დაყრდნობით, სწორედ ამის შემდეგ, კომპანიის დამფუძნებლები მილიარდერები გახდნენ.

Reuters-ის ინფორმაციით, Kaspi Bank-ის აქციების ლონდონის ბირჟაზე განთავსება ჯერ კიდევ 2019 წელს იგეგმებოდა. ინვესტორთა შეფასებით, იმ პერიოდში, მსხვილი ყაზახური ფინანსური კომპანიის მოსალოდნელი ღირებულება 5 მილიარდი დოლარი უნდა ყოფილიყო. თუმცა, საბოლოოდ, Kaspi Bank-მა აქციების შეთავაზება გადაავადა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს კომპანიის მიერ გადადგმული კიდევ ერთი სწორი ნაბიჯი იყო, რადგან 2020 წლის მთავარმა გამოწვევამ – კორონავირუსის თანამდევმა კრიზისმა, Kaspi-ს შესაძლებლობა მისცა, საკუთარი უპირატესობები კიდევ უფრო კარგად დაენახა და გაცილებით მეტი მომხმარებელი მიეზიდა.

2019 წელს, კომპანიის მთლიანი შემოსავალი 1.3 მილიარდი დოლარი, ხოლო წმინდა მოგება 515 მილიონი დოლარი იყო. 2020 წლის პირველ ნახევარში, კომპანიამ 740 მილიონი დოლარის შემოსავალი და 286 მილიონი დოლარის წმინდა მოგება გამოიმუშავა.

ცოტა რამ Kaspi Bank-ის შესახებ

Forbes-ის მონაცემებზე დაყრდნობით, Kaspi Bank-ის სერვისს, ყოველთვიურად, ყაზახეთის 18-მილიონიანი მოსახლეობიდან, 7.8 მილიონი იყენებს. ლონდონის საფონდო ბირჟის თანახმად, Kaspi Bank-ის საგადახდო სისტემაზე, ყაზახეთში განხორციელებული ტრანზაქციების 66% მოდის, 33%-ს კი გლობალური ბრენდები – Visa და Mastercard-ი ემსახურებიან.

ამჟამად, Kaspi Bank-ი სამ ძირითად მიმართულებას აერთიანებს: საგადახდო პლატფორმას, რომელიც მომხმარებლებსა და მოვაჭრეებს შესაძლებლობას აძლევს, ერთმანეთთან ციფრული ტრანზაქციები განახორციელონ. ამასთან, ციფრული ბანკის საშუალებით, შესაძლებელია სხვადასხვა სამომხმარებლო სესხის აღება და დეპოზიტების მართვა.

ამავდროულად, ყაზახური Kaspi მარკეტპლეისია, რომელიც მოვაჭრეებსა და მომხმარებლებს ერთიან პლატფორმას სთავაზობს. 2019 წლის მდგომარეობით, Kaspi ყაზახეთის უმსხვილესი ონლაინ-მაღაზია იყო, რომელიც მთლიანი ელექტრონული კომერციის 46%-ს ფლობდა.

სამომხმარებლო სესხების ფართო არჩევანის შედეგად, Kaspi Bank-ი მცირე ზომის სესხების ბაზრის ლიდერია, მასზე მთლიანად ყაზახეთის სამომხმარებლო სესხების 32% მოდის.

თავდაპირველად, Kaspi ციფრულ პლატფორმად არ შექმნილა. მისი ისტორია 1991 წელს იწყება. ამ დროს, ყაზახურ ფინანსურ ინსტიტუტს Аль Барака Казахстан-ი ეწოდებოდა. 1997 წლიდან, კომპანიამ სახელი შეიცვალა და Банк Каспийский გახდა. 2008 წლიდან, კიდევ ერთი რებრენდინგის შედეგად, Kaspi Bank-ი ეწოდა.

ვინ არის მიხეილ ლომთაძე

Forbes-ის მონაცემებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ ყაზახურ Kaspi Bank-ს, მიხეილ ლომთაძე 2007 წლიდან ხელმძღვანელობს. ის საქართველოში, ბათუმში, 1975 წლის 17 ოქტომბერს დაიბადა. ბაკალავრის ხარისხი თბილისში, საქართველოს მენეჯმენტის ევროპულ სკოლაში მიიღო, შემდეგ სწავლა ჰარვარდის ბიზნესის სკოლაში განაგრძო, რომელიც 2002 წელს, მაგისტრის – MBA ხარისხით დაასრულა.

მიხეილ ლომთაძემ ბიზნესსაქმიანობა საქართველოში დაიწყო და 1995 წელს, აუდიტორული კომპანია „ჯი-სი-ჯი აუდიტი“ დააფუძნა. რამდენიმე წლის შემდეგ, კომპანია საერთაშორისო აუდიტორული კომპანია Ernest & Young-ის ჯგუფის წევრი გახდა.

2002 წლიდან, მიხეილ ლომთაძემ მაიკლ ქალვის Baring Vostok Capital Partners-ის საინვესტიციო მენეჯერის პოსტი დაიკავა და 2004 წლიდან, მისი პარტნიორი გახდა. ამის შემდეგ, Baring Vostok Capital Partners-ი, Kaspi Bank-ის ერთ-ერთ წამყვან აქციონერად და ინვესტორად იქცა.

მიხეილ ლომთაძის განცხადებით, ის ყაზახეთში, სწორედ Baring Vostok Capital Partners-ის საშუალებით მოხვდა, რომელმაც ინვესტიცია იმდროინდელ Банк Каспийский-ში განახორციელა.

„ეს იყო ჩემი, როგორც Baring Vostok-ის პარტნიორის ინვესტიცია. ჩემი ყოფილი კურსელი ჰარვარდიდან, ბანკში მუშაობდა და შემომთავაზა, ინვესტირებით დავინტერესებულიყავი. ყაზახეთში გავემგზავრე და ეს იყო „ერთი ნახვით სიყვარული“, ან შეიძლება ითქვას, პარტნიორობა პირველივე ნახვიდან. Baring Vostok-მა ინვესტიცია ყაზახეთში 2006 წელს განახორციელა. შემდეგ დაიწყო 2007 წლის კრიზისი და ყველაფერი ცუდად წავიდა. მკვეთრი და სწრაფი გადაწყვეტილების მიღების დრო დადგა და ვიფიქრეთ, რომ კარგი იქნებოდა, თუ Kaspi-ის აღმასრულებელი დირექტორი გავხდებოდი. აქამდე, ჩემი დიდი სამუშაო გამოცდილების მიუხედავად, არაფრით ვუკავშირდებოდი საბანკო სფეროს. საქართველოში, პარტნიორებთან ერთად, აუდიტორული კომპანია შევქმენი, რომელიც დღეს, Ernest & Young-ის ნაწილია. შემდეგ ჰარვარდში წავედი სასწავლებლად. ვფიქრობ, გამიმართლა, ჩემს გვერდით, ყოველთვის „სწორი ადამიანები“ იყვნენ – მასწავლებლები უნივერსიტეტიდან და პარტნიორები საქართველოდან, შემდეგ პროფესორები და მეგობრები ჰარვარდიდან“, – ამბობს მიხეილ ლომთაძე.

Forbes-ის ინფორმაციით, Kaspi Bank-მა ციფრული ტრანსფორმაცია განსაკუთრებული ტემპით 2011 წლის შემდგომ დაიწყო. ელექტრონული საფულის სახით არსებულ სისტემას, მიხეილ ლომთაძის მიერ გატარებული რეფორმების შედეგად, 2014 წლიდან, ელექტრონული კომერციის სისტემაც დაემატა.

Forbes Georgia-ს ინფორმაციით, მიხეილ ლომთაძის გარდა, Kaspi-ს წარმატებაში მნიშვნელოვანი როლი საქართველოდან წასულმა სხვა პროფესიონალებმაც შეასრულეს. ნომერ პირველი მარკეტპლეისის დირექტორის მოადგილის სტატუსით, Kaspi-ში თენგიზ მოსიძე მოღვაწეობს, რომელიც მამუკა კვირკველიასთან ერთად, ყაზახეთში, მიხეილ ლომთაძის გუნდს თავიდანვე შეუერთდა. მამუკა კვირკველია ამ კომპანიაში IT მიმართულების განვითარებას ხელმძღვანელობს. Forbes-ის ინფორმაციით, ორივე ქართველი მენეჯერი – მოსიძეცა და კვირკველიაც Kaspi-ს აქციებს ფლობენ.

„ბავშვებისთვის განათლება ხელმისაწვდომი უნდა იყოს – ეს მათი კონსტიტუციური უფლებაა!“



რა არის ბილინგვური განათლება და როგორ აფასებს განათლების ექსპერტი ჩხენკელის ათწლიან გეგმას

ანუკი გაგულიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა საზოგადოებას განათლებისა და მეცნიერების განვითარების ათწლიანი გეგმა წარუდგინა. მინისტრმა ადრეულ ასაკში ბავშვების აღზრდისა და განვითარების ხელშეწყობაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით, სამინისტრომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადადგა. ამ ეტაპზე, სისტემაში ინერგება ბილინგვური განათლება, რაც სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებზე მორგებულ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას შეუწყობს ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ მინისტრმა მთავარ პრობლემად სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვები გამოყო, დღემდე არ ვიცით, რას აკეთებს სამინისტრო კონკრეტულად, ამ ბავშვებისთვის. აქვე აღსანიშნავია, რომ კორონაპანდემია არ დასრულებულა და არც ის ვიცით, როდის დასრულდება, ამიტომ ონლაინ-სწავლების ხარისხის გაუმჯობესება სამინისტროსთვის, წესით, პრიორიტეტული უნდა იყოს.

გართულებული პანდემიური ვითარების გამო, შესაძლოა, სწავლა ისევ დისტანციურ რეჟიმში გაგრძელდეს. შესაბამისად, მინისტრს განათლების განვითარების ათწლიან გეგმაში, ონლაინ-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე მეტი უნდა ესაუბრა და უნდა დაგვენახა, რას აკეთებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რათა ბავშვებმა საქართველოში, დისტანციური სწავლების აუცილებლობის პირობებში, ხარისხიანი განათლება მიიღონ.

ჩხენკელის მიერ წარდგენილი გეგმის შეფასება „ვერსიამ“ განათლების ექსპერტსა და პედაგოგს, დათო ფერაძეს სთხოვა, რომელმაც საუბარი ბილინგვური სწავლების შეფასებით დაიწყო და განმარტა, რომ ეს სწავლება, დღესდღეობით, შედეგს ვერ გამოიღებს, რადგან რეგიონებში ამის სურვილი არ არსებობს:

„ბილინგვურ რეგიონებში (იგულისხმება ორენოვანი მოსახლეობა) არის ადგილები, სადაც ენობრივი ბარიერის გამო, ადამიანების ინტეგრირება ვერ ხდება. ბუნებრივია, ეს პრობლემა სხვა სახის პრობლემებსაც წარმოშობს. მაგალითად, ჩვენ რომ ჩავიდეთ ქვემო ქართლში ან სამცხე-ჯავახეთში, იმის მიუხედავად, რომ იქ გახანგრძლივებულად ისწავლება ქართული ენა, ამ ადამიანებმა სახელმწიფო ენა მაინც არ იციან. ამ პრობლემის მოსაგვარებლად, სხვა სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო და არა, მაგალითად, ბილინგვური განათლება. ამასთან დაკავშირებით, ძალიან ზოგადი იყო მინისტრის განცხადება, რადგან ამას მთელი რიგი პროგრამების შემუშავება სჭირდება, მათ შორის, ორენოვანი სახელმძღვანელოები და რაც მთავარია, მასწავლებლებს უნდა შეეძლოთ საგნის ორენოვნად სწავლება. ბილინგვური განათლება აზრობრივად გულისხმობს ამას, მაგრამ მთავარი ისაა, რამდენად შედეგიანი იქნება ამ რეგიონებში ეს პროგრამა, რადგან ქართულისა და ისტორიის მასწავლებლებს, ბოლო ათწლეულია, სახელმწიფო აფინანსებდა და უშვებდა სხვადასხვა რეგიონში მსგავსი პროგრამით, მაგრამ შედეგი მაინც არ გვაქვს, ან გვაქვს ძალიან უმნიშვნელო.

ამ ფონზე, ვფიქრობ, რომ არ ექნება შედეგი ამ პროგრამას, რადგან მოსწავლე უნდა ხედავდეს აუცილებლობას და თვითონვე უნდა ჰქონდეს ამის სურვილი. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში, სომხურენოვან მოსახლეობაში ამის სურვილი ნაკლებია, რადგან ისინი კონტაქტობენ ერევანთან, მეტი კომუნიკაცია აქვთ სომხეთთან და ეს ფაქტორი იწვევს სურვილის თუ აუცილებლობის არარსებობას. მსგავსი სიტუაციაა ქვემო ქართლშიც. საჭიროება იწვევს ბილინგვური სწავლების სურვილს, ამიტომ რაღაცნაირად, სახელმწიფომ უნდა იფიქროს იმაზე, როგორ შექმნას ამის სურვილი მოსახლეობაში“.

ფერაძე განათლების მინისტრის მიერ წარდგენილ ათწლიან გეგმაზე ამბობს, რომ ეს მხოლოდ იდეებია, რაც უკანასკნელი ათი წლის მანძილზე, სამინისტრომ არაერთხელ წარუდგინა საზოგადოებას.

„ბოლო ათ წელიწადში, დაახლოებით, 15-ჯერ იყო წარდგენილი ათწლიანი განვითარების გეგმა და ყველა გეგმაში მხოლოდ იდეები იყო. ამ გეგმაში ისეთი არაფერია, რომ ვინმე გააოცოს. სამწუხაროდ, ჯერ ისედაც მცირე დაფინანსებაა და ეს დაფინანსებაც ხმარდება არა იდეების განვითარებას, არამედ, მხოლოდ იდეებს. სამინისტრო ამბობს, რომ ევროპულ ხარისხს უნდა დაეწიოს საქართველოს განათლების სისტემა, ევროპულ ხარისხს მხოლოდ განათლება როგორ დაეწევა, თუ მასწავლებლის ანაზღაურება არ შეიცვლება, ასევე, სკოლის მენეჯმენტს უნდა ჰქონდეს მორალური უფლება, მოსთხოვოს ნორმალური მუშაობა მასწავლებელს. აქედან გამომდინარე, თუ უნდათ განათლების ხარისხნის განვითარება, მასწავლებლის ანაზღაურებაც უნდა დაეწიოს ევროპულ ხარისხს“.

პანდემიის მძიმე ფონზე, როცა თვეების განმავლობაში, სკოლის მოსწავლეებს უწევთ დისტანციური სწავლება, სხვადასხვა რეგიონში არსებობენ ბავშვები, სადაც ტექნიკის ან ინტერნეტის არარასებობის გამო, ვერ იღებენ ან დაბალი ხარისხით იღებენ დისტანციურ განათლებას. სწორედ ონლაინ-სწავლების არაერთ პრობლემაზე საუბრობს დათო ფერაძეც და აცხადებს, რომ დისტანციური სწავლების დროს, ბავშვების არმისვლით დაზოგილი თანხები, სკოლებს ონლაინ-სწავლების გასაუმჯობესებლად უნდა მოეხმარათ:

„როდესაც პირველად, ონლაინ-რეჟიმზე გადავიდა სწავლება, მაშინვე შევთავაზე სამინისტროს, რომ თანხა, რაც სკოლას ბავშვების არმისვლით შეეძლო დაეზოგა, მაგალითად, კომუნიკაციის, გაზის, ელექტროენერგიის და სხვა, ეს დანაზოგი საკმაოდ დიდი თანხა იყო, მაგრამ რეალურად სად წავიდა, არავინ იცის. სავსებით შესაძლებელი იყო, ეს დანაზოგი იმ ბავშვებს მოხმარებოდათ, რომლებიც დისტანციური სწავლების დროს, ტექნიკასა და ინტერნეტს იყვნენ მოკლებულნი. ეს კითხვა რომ დავსვი, პასუხი ვერ მივიღე. სრულიად საფუძვლიანი ეჭვი არსებობს იმისა, რომ ეს თანხა ვიღაცების ჯიბეებში გადანაწილდა. სწორედ იმ პერიოდში შევთავაზე სამინისტროს, რომ ასეთი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ეყიდათ კომპიუტერები და ჰქონოდათ ინტერნეტი, შეესყიდათ ინტერნეტი და ტექნიკური საშუალებები. ეს იმიტომ, რომ განათლების მიღება ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველა ბავშვისთვის, ეს ხომ საქართველოში, თითოეული ბავშვის კონსტიტუციური უფლებაა?! აი, ეს უნდა გაეკეთებინა სახელმწიფოს, მაგრამ ძალიან ბევრი ბავშვი დარჩა ონლაინ-სწავლების გარეშე და არაფერი გაკეთებულა მათთვის“.

სამართალი

№28 11 აგვისტო 2021 წ

სიდედრმა ექიმ სიძეს ენა მოაჭრა

როგორ დაიგეგმა სადისტური მკვლელობა – საგამოძიებო მასალები

ბათო ჯაფარიძე

საბჭოთა კავშირის დროს, თუ საქმე ე.წ. რიტუალურ მკვლელობასთან ჰქონდათ, ცდილობდნენ, არ გაეხმაურებინათ და ძირითადად, გრიფით „საიდუმლო“-ს ადებდნენ. ეს ორი მიზეზით იყო გამოწვეული: პირველი ის, რომ ხალხს არ უნდა შეშინებოდა და მეორე, ამ პროცესებს წახალისება და ფართო გამოხმაურება არ უნდა მოჰყოლოდა. ამიტომ, როცა 1988 წელს, თბილისის შემოგარენში, ტყეში მოკლულ მამაკაცს ენა ჰქონდა მოჭრილი, იფიქრეს, რომ საქმე რაიმე რიტუალთან ჰქონდათ და შემთხვევა განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანეს.

„ექიმების დასკვნით, მამაკაცს ენა მაშინ მოაჭრეს, როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. სწორედ ეს გახლდათ მთავარი მიზეზი, რის გამოც შემთხვევა, რაიმე რიტუალის აღმნიშვნელად ჩაითვალა. კრიმინალური გარჩევა იმიტომ გამოვრიცხეთ, რომ გარდაცვლილს არც სვირინგები ჰქონდა და ხელებიც – ისეთი ნაზი და მოვლილი, აუცილებლად რაიმეს სპეციალისტი უნდა ყოფილიყო. გარდაცვლილს დოკუმენტაცია არ ჰქონდა და ამიტომ, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა განცხადებებს გადავხედეთ. პირველი უცნაურობაც სწორედ იქ შევნიშნეთ“, – გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

განცხადებების მიხედვით, რამდენიმე ადამიანი იძებნებოდა და მათ შორის, ერთი, ბავშვთა ექიმი იყო. მალევე დაასკვნეს, გარდაცვლილი სწორედ ეს ექიმი გახლდათ, მაგრამ საინტერესო ის იყო, რომ განცხადება მისი გაუჩინარების შესახებ ოჯახმა კი არა, არამედ, მისმა სამსახურმა შეიტანა მილიციაში. რატომ არ ეძებდა კაცს ოჯახი, რომელსაც ცოლი, ორი შვილი და სიდედრიც ჰყავდა? – ამ კითხვით გამომძიებლები გარდაცვლილის ოჯახს ესტუმრნენ.

„დაახლოებით, სამი თვის წინ, მე და ჩემი მეუღლე დავშორდით. მან კარი გაიხურა და წავიდა, ამ ხნის განმავლობაში, სად და ვისთან ცხოვრობდა, არ ვიცი. ერთხელაც არ დაურეკავს, ბავშვებიც კი არ მოუკითხავს და არ უნახავს“, – ეს არის გარდაცვლილის მეუღლის განცხადება.

სრულიად საპირისპირო რამ თქვეს მოკლული ექიმის კოლეგებმა. მამაკაცი ბავშვებზე გიჟდებოდა, საკუთარ შვილებს აღმერთებდა და გამორიცხული იყო, ასე მოქცეულიყო. ბავშვებთან განსაკუთრებული დამოკიდებულებისა და სიყვარულის გამო, მას მუდმივად ჰყავდა პაციენტები – ბავშვებს ექიმი უყვარდათ, მშობლები კი აღმერთებდნენ. რა შეიძლებოა გამხდარიყო ექიმის ასე სასტიკად მოკვლის მიზეზი, კოლეგებს წარმოდგენა არ ჰქონდათ.

იმის მიუხედავად, რომ ოჯახი, პრაქტიკულად, დანგრეული იყო, ექიმი სწორედ მეუღლემ დაასაფლავა და დაიტირა კიდეც. პროცესიას სამართალდამცავები ფოტოაპარატით იღებდნენ, აინტერესებდათ, იქნებოდა თუ არა ვინმე ისეთი, ვისაც არავინ იცნობდა. შემდეგ ეს კადრები გაამჟღავნეს და ჭირისუფალთა იდენტიფიცირებისთვის, გარდაცვლილის უახლოესი მეგობრები მიიწვიეს. მეგობრებმა ამოიცნეს ყველა, ერთი ქალის გარდა, რომელიც შორეულ კადრში ჩანდა. ის ვერც ოჯახის წევრებმა იცნეს და გამოძიებისთვის პრიორიტეტული, სწორედ ამ ქალის პოვნა გახდა.

„სასაფლაოზე წავედი, რადგან მინდოდა, ზუსტად მენახა ის ადგილი, სადაც ქალი იდგა. ხომ შეიძლებოდა, ვინმეს საფლავზე იყო და კადრში შემთხვევით მოხვდა. ექიმის საფლავზე ახალი ყვავილები ეწყო, იქვე ვაზა იდგა და ვიფიქრე, იქ ჩავდებ, უფრო დიდ ხანს გაძლებს-მეთქი. თაიგული წამოვწიე და ქვეშ პატარა ბარათი აღმოჩნდა.

„მე შენს გამო შურს ვიძიებ და აქ ყოველ დღე მოვალ, ყოველ დღე დაგიტოვებ ყვავილებსა და წერილს“, – ეწერა ბარათში. რაღა თქმა უნდა, ორ ოპერმუშაკს სპეცტანსაცმელი გადავაცვით და მესაფლავეების რანგში, ადგილზე დავტოვეთ“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

მეორე დღეს, „მესაფლავეებმა“, თაიგულით ხელში, სწორედ სურათზე აღბეჭდილი ქალი დააკავეს.

„მე და გარდაცვლილი თანაკლასელები ვართ. ერთმანეთი გვიყვარდა, დაქორწინებასაც ვაპირებდით, თუმცა მომავალი მეუღლე გაიცნო. სიდედრი ძლევამოსილი ქალია, სერიოზული სამსახური აქვს და ამას ეგონა, კარიერაში წაადგებოდა. დარწმუნებული ვარ, სწორედ სიდედრმა მოაკვლევინა, რადგან ბოლო დროს, ურთიერთობა დაეძაბათ და ის სიძეს ვერ იტანდა. სახლიდანაც სიდედრის გამო წამოვიდა. მე კი ველოდი, მთელი ცხოვრება ველოდი, მაგრამ როცა შინიდან წამოვიდა, ჩემთან არ მოსულა, ვერ გაკადრებო, ასე მითხრა. არ ვიცი, სად ცხოვრობდა, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ მარტო ცხოვრობდა“, – განაცხადა დაკავებულმა.

გამოძიებამ სიდედრის შესწავლა დაიწყო. ის ერთ-ერთი საწარმოს დირექტორის მოადგილედ მუშაობდა და იმ დირექტორის არაოფიციალურ ბუღალტრად ითვლებდა. არც უფულობას უჩიოდა და არც – გავლენიან სანაცნობოს, მაგრამ მის წინააღმდეგ გამოძიებას სამხილი არ ჰქონდა. კვანძი კი იქიდან გაიხსნა, საიდანაც არავინ ელოდა. მილიციის განყოფილებაში მოკლული ექიმის უახლოესი მეგობარი და კოლეგა მივიდა.

„ამას წინათ, ჩემს მეგობარს ჯანმრთელობის პრობლემები შეექმნა და მე მომაკითხა. ყველა კვლევა ჩავუტარე და ერთი უცნაურობა აღმოვაჩინე. მის სხეულში რაღაც იყო დარღვეული, ამიტომ ყველა მიმართულებით გამოვიკვლეთ. სხვა დასკვნებთან ერთად, ისიც დავასკვენით, რომ ჩემი მეგობარი უნაყოფო იყო ანუ სპერმის პროცენტულობა ნული ჰქონდა და გამორიცხული გახლდათ, შვილი ჰყოლოდა. ამ დროს კი მეუღლე და ორი ბავშვი ჰყავდა. ეს ამბავი მისთვისაც ნამდვილი შოკი იყო და მომხდარიდან ორ დღეში, ის ცოლს დაშორდა“, – განაცხადა ექიმმა.

ეს იმას ნიშნავდა, რომ კაცმა ცოლი ღალატში ამხილა, ამიტომ მილიციაში მოკლულის მეუღლე მიიყვანეს, ოღონდ ისე, რომ სიდედრს არ გაეგო – პირდაპირ სამსახურის კართან დახვდნენ. ქალმა ჯერ წაიტირა, მერე ისტერიკა მოაწყო, ბოლოს კი მოყოლა დაიწყო.

„ქმარი დედაჩემმა შემირჩია, პერსპექტიული ექიმიაო. მერე, როცა ექვსი თვე ვერ დავორსულდი, დედამ სახლში ვიღაც ათლეტური მამაკაცი მოიყვანა, ამისგან დაორსულდები, შენი ქმარი უვარგისიაო. ბავშვობიდან ასე ვარ, მას წინააღმდეგობას ვერაფერში ვუწევ და იმ კაცთან სამჯერ ვიყავი. დავორსულდი და პირველი შვილი გვეყოლა. ორი წლის შემდეგ, უკვე სხვა მამაკაცი დამაყენა თავზე და ახლა იმისგან გავაჩინე. ქმარს სახეში ვერ ვუყურებდი, ის კი ჩემს შვილებზე გიჟდებოდა, დედაც კმაყოფილი იყო. ვინ რა უთხრა, არ ვიცი, მაგრამ ერთხელაც, შინ მოვიდა და გამოაცხადა, რომ მე ვატყუებდი, რომ შვილები არასოდეს ეყოლებოდა, რომ ორივე ბავშვი სხვისგან გავაჩინე და წავიდა. ამის შემდეგ ერთადერთხელ შემხვდა, სამსახურთან მოვიდა და მკითხა, ასე რატომ მომექეციო. მე სიმართლე ვუთხარი, გამიგო, იცოდა, დედაზე როგორ ვიყავი დამოკიდებული. მას შემდეგ აღარ მინახავს“,-განაცხადა ქალმა.

გამოძიება არ აჩქარდა. სიდედრი და მისი უფროსი ისე იყვნენ ერთმანეთზე გადაფსკვნილები, მის გარეშე, მარტო ქალი ვერაფერს იზამდა. ამიტომ, გადაწყვიტეს, ჯერ სიდედრის ხელმძღვანელი ენახათ. მან კაბინეტში სამართალდამცავები მშვიდად მიიღო და იქვე დააყოლა, ცოტა ხნის წინ მყავდა შემოწმება, საწარმოში ყველაფერი რიგზეაო.

„ზედაპირული კითხვების დასმა დავიწყეთ, იცნობდა თუ არა მისი მოადგილის სიძეს და ა.შ., რაზეც უარყოფითი პასუხი გაგვცა. შემდეგ, ერთმა თანამშრომელმა პარკეტის იატაკს დაუწყო თვალიერება და ერთ ადგილს ჩააშტერდა. იქ რაღაც მუქი ლაქა ჩანდა. ვიწვალეთ და დირექტორის პროტესტის მიუხედავად, პარკეტის ის ფიცარი როგორღაც ამოვგლიჯეთ. ქვემოთ გამხმარი სისხლი იყო. დირექტორი დავაკავეთ, სისხლი ექსპერტიზაზე წავიღეთ და ის გარდაცვლილისას ასი პროცენტით დაემთხვა“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

დირექტორმა გამომძიებლებისგან გარანტია მიიღო, რომ არ დახვრეტდნენ და „აღსარებაც“ ჩააბარა.

„ერთ დღეს მოადგილე დამადგა და მეუბნება, ჩემმა სიძემ გაიგო, რომ ბავშვები მისი არ არიან, რომ ამ საქმეში ჩემი ხელი ურევია და ახლა დაჭერით მემუქრება. მან ჩვენი საქმიანობის რამდენიმე უკანონო გარიგება იცის და გაგვჭედავსო. სიძე დაემუქრა მილიციაში განცხადების დაწერით, დუმილის სანაცვლოდ კი 20 ათას მანეთს ითხოვდა. ფულის გადახდას მკვლელობა ვამჯობინეთ, რადგან გარანტია არ გვქონდა, რომ შემდეგშიც არ მოგვთხოვდა. აქ მოვიყვანეთ ფულის გადასაცემად, მე ჩაქუჩი ჩავარტყი და სანამ მოკვდებოდა, სიდედრმა ენა ამოაჭრა“, – ეს იყო დაკავებულის მონოლოგი.

რაღა თქმა უნდა, სიდედრიც დააკავეს და სასამართლოს წინაშე ისიც წარსდგა. დირექტორს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს, გარდაცვლილის სიდედრს – 12 წელი. მამაკაცი ციხეში მესამე წელს მოკვდა, ქალმა კი სასჯელის ნახევარი მოიხადა, შემდეგ ამნისტიით გამოძვრა. როგორც ამბობენ, შინ დაბრუნებულს, შვილმა კარი აღარ გაუღო და დედაზე უარი თქვა.

როგორ ჩაფლავდა პირველი „ქართული კორლეონეს ოჯახის“ შექმნა

ბათო ჯაფარიძე

რა ბედი ეწია ყაჩაღს, რომელიც მაფიის შექმნას ცდილობდა

კომუნიზმის ზეობის დროს, დასავლურ ფილმებს არ აჩვენებდნენ და ამას თავისებურად ხსნიდნენ. კომუნისტების აზრით, დასავლურ ფილმებში ნაჩვენები ძალადობა ხალხის ფსიქიკაზე ცუდად მოქმედებდა და იმ ფილმების მთავარ გმირებს – სერიულ მკვლელებს, მანიაკებსა თუ მძარცველებს, საბჭოთა კავშირში მიმდევრები აუცილებლად გამოუჩნდებოდათ. შემდეგ დამტკიცდა, რომ ეს თეორია რეალობისგან შორს არ იყო და 90-იანი წლების ჯოჯოხეთს, მთელი საბჭოეთის მასშტაბით, იმ ფილმებსაც აბრალებდნენ. მკვლელობები, ძარცვები, მანიაკალური მიდრეკილებები – დანაშაულთა ახალი კატეგორია ძალიან ჰგავდა დასავლური ფილმებიდან აღებულ სიუჟეტებს. სამწუხაროდ, საბჭოთა ეკრანებზე საკულტო ფილმის – „კრავთა დუმილი“ გამოსვლის შემდეგ, საბჭოთა კავშირის არაერთ რესპუბლიკაში დაფიქსირდა კანიბალიზმის შემთხვევა და ორმა დაკავებულმა პირდაპირ თქვა, ფილმის გმირს მივბაძეთო.

„საქართველოში, 90-იან წლებამდე, ოფიციალურად არასოდეს ყოფილა რაიმე მაფიოზური დაჯგუფება ან საძმო. იყო ბანდები, კრიმინალური ბანდები, რომლებიც რამდენიმე ადამიანის ერთობას წარმოადგენდნენ და ქურდობით ან ყაჩაღობით იყვნენ დაკავებულნი. ოფიციალურად ეს ასეა, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველოში ცნობილი ფილმის – „ნათლია“ მეორე ნაწილმა შემოაღწია და მას იატაკქვეშეთში უყურებდნენ, გაჩნდა სურვილი, ანალოგიური რამ საქართველოშიც შეექმნათ“,-გვიყვება მორიგ ისტორიას პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ბატონი თენგიზი.

ყველაფერი ბანალურად დაიწყო – კოჯრის ტყეში, სამართალდამცავებმა გარდაცვლილი მამაკაცის სხეული იპოვეს. 27-30 წლის კაცს ერთადერთი ტყვია კეფაში ჰქონდა ნასროლი და ცხადი იყო, რაღაცის გამო დასაჯეს. მოკლულის ვინაობაც მალე გაიგეს – წარსულში ნასამართლევი პირი, რომელსაც სერიოზული გავლენა არ ჰქონდა და არც ავტორიტეტად ითვლებოდა. საქმე რიგით კრიმინალურ გარჩევას მიაწერეს და მკვლელის ძებნა მის გარმოცვაში დაიწყეს, თუმცა მომხდარიდან მალევე, თითქმის იმავე ადგილას, მეორე გარდაცვლილი იპოვეს. ისიც კეფაში გასროლით იყო მკვდარი და ისიც – წვრილფეხა კრიმინალი.

„ცოდვა გამხელილი სჯობსო და როცა კრიმინალები ერთმანეთს ხოცავენ, სამართალდამცავებს გული არ სწყდებათ, რადგან რაც ნაკლებია კრიმინალი, ცხოვრება უფრო უსაფრთხო და მშვიდია, თუმცა ისიც ყურადსაღებია, რომ ეს საქმეები გამოძიებული უნდა იყოს“, – გვიყვება ბატონი თენგიზი.

სამართალდამცავებმა მთელი აგენტურა ფეხზე დააყენეს. გაჩნდა ეჭვი, რომ კრიმინალურ სამყაროში, რაღაც ძალთა გადანაწილება მიდიოდა და ყველაფერ ამისთვის, ხელი უნდა შეეშალათ. პირველი ცნობებიც მოვიდა. ამბობდნენ, ვიღაც ტიპი გარშემო წვრილფეხა კრიმინალებს იკრებს, ე.წ. მაფიოზურ ოჯახს აყალბებს და ურჩებს უმკაცრესად სჯისო. გამომძიებლებს ყველაფერი ეს სასაცილოდ არ ეყოთ, რადგან დარწმუნებულები იყვნენ, ასეთი სინდიკატის არსებობას „კანონიერი ქურდები“ არ დაუშვებდნენ და საკუთარ ძალაუფლებას არ დათმობდნენ, თუმცა ცოტა ხანში, ერთ-ერთი ქურდი ავტომობილში ჩაცხრილეს, მაგრამ გადარჩა. ისე ჩანდა, ახალი კრიმინალები არც ქურდებს სცნობდნენ, რაც მილიციისთვის აშკარად თავის ტკივილი იყო.

ახალი თაობის კრიმინალთა წრე მალე გამოიკვეთა და მისი ლიდერიც გაირკვა. ის წარსულში ყაჩაღობაზე ნასამართლევი პირი იყო და ყველაფერზე წამსვლელი რომ გახლდათ, გამომძიებლებმა ზუსტად იცოდნენ. როცა ყაჩაღობა მოხდა, მან ოჯახის წევრებს თითები დააჭრა, მათ შორის, ბავშვებს ანუ სასტიკი და შეუბრალებელი იყო. მასზე თვალთვალი დაწესდა, მაგრამ ორკვირიანი კუდში დევნა უშედეგო აღმოჩნდა. ის შინიდან თითქმის არ გადიოდა, ხოლო თუ გადიოდა, რამდენიმე ბიჭთან ერთად და ისიც უმნიშვნელო შეხვედრებზე. მის სახლთან, 24 საათის განმავლობაში მორიგეობდნენ ახალგაზრდა კრიმინალები და ეს რაღაც პირადი დაცვის ელემენტებს შეიცავდა.

„არ გვინდოდა, ბინის ჩხრეკა ჩაგვეტარებინა, რადგან თუ იარაღს ვერ ვიპოვიდით, ცხადი გახდებოდა, რომ ეჭვი მასზე გვქონდა და გაფრთხილდებოდა, თანაც მეეჭვებოდა, რომ იმ ორ მკვლელობასთან რაიმე კავშირი ჰქონოდა, რადგან ერთ-ერთი გარდაცვლილის ძმა მუდმივად მის სახლთან იდგა, ყარაულობდა და უკან ერთგული ძაღლივით დაჰყვებოდა. ამის მიუხედავად, თვალთვალს არ ვწყვეტდით, რადგან სხვა ხელჩასაჭიდი არაფერი გვქონდა, აგენტურული ქსელი კი გვიმტკიცებდა, გარდაცვლილები, სწორედ ამ დაჯგუფების წევრები იყვნენო“, -იხსენებს ბატონი თენგიზი.

რამდენიმე დღეში, მცხეთაში, ერთ-ერთი ცნობილი საქმოსანის აგარაკი აალდა და მთლიანად დაიწვა. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ სახლს ცეცხლი შეგნებულად წაუკიდეს. საქმოსანმა სამართალდამცავებთან საუბრის ნაცვლად, „კანონიერ ქურდებთან“ წასვლა არჩია. ცოტა ხანში, სახლში, რომელსაც მილიცია უთვალთვალებდა, ორი „კანონიერი ქურდი“ მივიდა, თუმცა... დაჯგუფების მეთაურმა ისინი სადარბაზოშიც კი არ შეუშვა, აქაოდა, მათი ნახვის სურვილი არ მაქვსო. ეს არა მარტო გამოწვევა, არამედ, წარმოუდგენელი თავხედობაც იყო, მაგრამ...

„მერე გავიგეთ, ქურდებს იმის ეშინოდათ, რომ რაღაც მანქანებით, ამ დაჯგუფებამ ჩრდილოეთ კავკასიაში იარაღის დიდი პარტია შეიძინა და თუ ომი დაიწყებოდა, უპირატესობა ქურდების მხარეს აშკარად არ იქნებოდა. ინფორმაცია იარაღზე ჩვენც მივიღეთ, მაგრამ არ ვიცოდით, სად უნდა გვეძებნა და შესაბამის მომენტს ველოდით“, – გვიყვება პოლკოვნიკი.

შესაფერისი მომენტიც მალე დადგა: ერთ დღეს, როცა დაჯგუფების მეთაურმა გარეთ გამოსვლა ინება და ავტომობილით ქალაქგარეთ გაემგზავრა, უკან ოპერმუშაკები გაჰყვნენ. მცხეთის გზაზე, მას გზა ორმა მანანამ გადაუჭრა და იქიდან სწორედ ის „კანონიერი ქურდები“ გადმოვიდნენ. ავტომობილიდან გადმოსულებმა ცერემონიის გარეშე ახადეს საბარგული და იქიდან ავტომატები ამოიღეს. ქურდები დაიბნენ, მანქანაში ჩასხდნენ და წავიდნენ, სამართალდამცავებმა კი დაკავება ვერ გაბედეს – ადვილი მისახვედრი იყო, კრიმინალები მათ არ დაინდობდნენ. სამაგიეროდ, სპეცოპერაცია დაიგეგმა.

„ეზოში მუდმივად იდგა 3-4 ავტომობილი და სპეცოპერაციის დროს, პირველ რიგში, მანქანებთან მივიდა სპეცრაზმი. ყველა საბარგული იარაღით იყო სავსე ანუ ამდენი ხნის განმავლობაში, ჩვენს თვალწინ მთელი არსენალი ეწყო. დავაკავეთ ყველა, ვინც ადგილზე იყო, ვინც – არა, სახლებიდან ავიყვანეთ. საერთო ჯამში, 17 ადამიანი“, -გვიყვება ბატონი თენგიზი.

თავიდან ხმას არავინ იღებდა, თუმცა შემდეგ ერთ-ერთს აუხსნეს, რომ მას დანაშაული არ მიუძღოდა და გაუშვებდნენ, თუ დეტალებს მოყვებოდა. მან პასტა და ფურცელი მოითხოვა და წერა დაიწყო.

როგორც გაირკვა, ბანდის მეთაურმა გადაწყვიტა „ქართული კორლეონეს ოჯახი“ შეექმნა, ოჯახის მეთაური თავად იქნებოდა, წევრებს კი უმკაცრესად დასჯიდა, თუ მის მითითებებს არ შეასრულებდნენ.

ის ორი წევრიც პირადად მოკლა და ეს... გარდაცვლილის ძმამაც იცოდა, თუმცა ახალი, „მაფიოზური“ წესების თანახმად, ეს უნდა მიეღო, როგორც სამართლიანობა და წესრიგი. მანაც მიიღო და ძმის მკვლელს, პირად მცველად დაუდგა.

საქმოსნის სახლიც მათ დაწვეს და დაწვეს იმიტომ, რომ მან მოთხოვნილი 100 ათასი არ გადაიხადა. დაკავებული კრიმინალების უმრავლესობა გაუშვეს, რადგან მათ დანაშაული არ ჰქონდათ ჩადენილი, მაგრამ ექვსი კაცი, მათ შორის, „ნათლია“ სასამართლოს წინაშე წარსდგნენ. მოსამართლემ სასჯელები ჩამოარიგა, თუმცა გამომძიებლებს ყველაზე მეტად ის აინტერესებდათ, რას უზამდნენ ქურდები „ზონაზე“ შესულ ბანდის მეთაურს. შედეგმა არ დააყოვნა, ის ჯერ „საქათმეში“ გაისტუმრეს, ორი თვის შემდეგ კი, გაურკვეველ ვითარებაში, პატიმრებმა გარდაცვლილი იპოვეს.

ასე დასრულდა საქართველოში პირველი მაფიის ჩამოყალიბების პროცესი, თუმცა შემდგომ წლებში, მაფიის რა გითხრათ, მაგრამ საძმოები ნამდვილად ჩამოყალიბდნენ, რომლებმაც თბილისს არაერთი იარა დაუტოვეს.

10 ყველაზე ცნობილი ნახატის ქურდობის ანატომია

ბათო ჯაფარიძე

მსოფლიო ისტორიას არაერთი შემთხვევა ახსოვს, როცა სახელოვანი მხატვრების ცნობილი ნახატები გალერეებიდან და მუზეუმებიდან მოუპარავთ. მართალია, ფერწერული ტილოების შთამბეჭდაობამ ხელოვნების ნებისმიერ მოყვარულს შეიძლება გაუჩინოს იმის სურვილი, რომ საკუთარი სახლის კედელი ცნობილი შედევრით დაამშვენოს, თუმცა ასეთი ძარცვების ყველაზე ხშირი მოტივატორი ნახატების ღირებულებაა: შავ ბაზარზე, მძარცველები, მათ ათეულობით მილიონ დოლარად ყიდიან. ახლა სწორედ ასეთი, ყველაზე გახმაურებული შემთხვევების შესახებ გიამბობთ:

1. ჰანს მემლინგის „საშინელი სამსჯავრო“

ისტორიაში შემონახული ხელოვნების ნიმუშის ქურდობა პირველად 1473 წელს ფიქსირდება, როცა პოლონელმა მეკობრეებმა ფლორენციიდან, გერმანული წარმოშობის მხატვრის, ჰანს მემლინგის ნახატი მოიპარეს და პოლონეთში, ქალაქ გდანსკის ქალწული მარიამის სახელობის ტაძარში წაიღეს. მიუხედავად იმისა, რომ იტალიური მხარე ნახატის დაბრუნებას კვლავაც ცდილობს, ეს ცნობილი ტრიპტიპი კვლავ გდანსკის ეროვნულ მუზეუმში ინახება.

2. რემბრანდტის „ავტოპორტრეტი“

2000 წელს, სტოკჰოლმის ეროვნული მუზეუმიდან ნახატების მოსაპარად, მძარცველებმა ქალაქის სხვადასხვა ნაწილში, ავტომობილები ააფეთქეს, რათა პოლიციელების ყურადღება გადაეტანათ. სწორედ ამ გზით, მათ მუზეუმიდან 37 მილიონ დოლარად შეფასებული რემბრანდტის „ავტოპორტრეტი“ წაიღეს. მოგვიანებით, 2005 წელს, ნახატი იპოვეს და უკან დააბრუნეს.

3. ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზა“

მე-20 საუკუნის დასაწყისში, ლუვრში მომუშავე იტალიელი ვინჩენცო პერუჯა, რომელიც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი იყო, ფიქრობდა, რომ ლეონარდო და ვინჩის ეს შედევრი თავის სამშობლოს, იტალიას უნდა დაბრუნებოდა. ამის გამო, 1911 წელს, მან ნახატი მუზეუმიდან მოიპარა (ქურთუკში დამალა) და ორი წელი საკუთარ სახლში ინახავდა. ამ ფაქტის გამო, ლუვრი ერთი კვირით დაიკეტა. საბედნიეროდ, ნახატი 1913 წელს აღმოაჩინეს და მუზეუმს დაუბრუნეს.

4. მოდილიანის „ქალი მარაოთი“

2010 წელს, ადამიანი ობობას სახელით ცნობილმა ფრანგმა მძარცველმა, პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმიდან ხუთი ნახატი მოიპარა, მათ შორის ერთ-ერთი, მოდილიანის შედევრი „ქალი მარაოთი“ იყო. სასამართლოზე მძარცველმა განაცხადა, რომ ნახატები მხოლოდ იმის გამო მოიპარა, რომ ისინი მას ძალიან მოსწონდა, თუმცა გაქცევის დროს პანიკაში ჩავარდა და ისინი დაკარგა. მას 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ნახატები კი დღემდე დაკარგულად ითვლება.

5. ედვარდ მუნკის „კივილი“

1994 წელს, ნორვეგიის ეროვნულ მუზეუმში ოთხი მძარცველი შეიპარა და მუნკის ცნობილი ნახატი მოიპარა. ძარცვის შემდეგ, მათ მუზეუმში ფურცელი დატოვეს ამ წარწერით: „მადლობა, ასეთი ცუდი დაცვის სისტემისთვის“. ნახატი 1996 წელს დაუბრუნდა მუზეუმს.

6. პოლ სეზანის „ბიჭი წითელ ჟილეტში“

2008 წელს, ციურიხში, ნიღბიანმა მძარცველებმა ხელოვნების ოთხი შედევრი მოიპარეს, რომელთაგან ერთ-ერთი, პოლ სეზანის 91 მილიონ დოლარად შეფასებული ნახატი იყო.

7. კარავაჯოს „ქრისტეს შობა“

1609 წელს შექმნილი იტალიელი მხატვრის, კარავაჯოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნახატი 1969 წელს, ქალაქ პალერმოში მოიპარეს. ნახატი საკმაოდ დიდი მოცულობისაა – 268 x 197 სმ და ის ეკლესიის საკურთხევლის თავზე ეკიდა, თუმცა მისი ჩამოხსნა მაინც შეძლეს. ეს შემთხვევა ხელოვნების ნიმუშების ქურდობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებულია და მას დღემდე ეძებენ. 2018 წელს, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნახატი მაფიოზურ დაჯგუფების ერთ-ერთმა მეთაურმა, გაეტანო ბადალამენტიმ მოიპარა.

8. იან ვერმეერის „კონცერტი“

1990 წელს, ბოსტონში, მუზეუმიდან ხელოვნების 13 ნიმუში მოიპარეს, რომელთა საერთო ღირებულება 500 მილიონ დოლარს აჭარბებს. მათ შორის იყო ნიდერლანდელი ფერმწერის, იან ვერმეერის „კონცერტი“, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულ დაკარგულ ნახატად ითვლება – მისი ღირებულება 250 მილიონი აშშ დოლარია. ნახატის აღმოჩენასთან დაკავშირებული ინფორმაციისთვის, დღემდე, ჯილდოდ 10 მილიონი დოლარია დაწესებული.

9. პოლ სეზანის „ოვერ-სიურ-უაზის ხედი“

1999 წლის 31 დეკემბერს, მსოფლიოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ახალი ათასწლეულის დაწყებას ელოდებოდა, მძარცველები ოქსფორდში კი – ფოიერვერკების გაშვებას, რათა სეზანის ცნობილი ნახატი მოეპარათ. სამწუხაროდ, მათ ეს გამოუვიდათ კიდეც – ეშმოლის მუზეუმიდან, კერძო კოლექციონერისთვის მისაყიდად გამზადებული ნახატი, მძარცველებმა ახალი წლის ღამეს მოიპარეს.

10. გუსტავ კლიმტის „ქალის პორტრეტი“

1997 წელს, იტალიის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ პიაჩენცას თანამედროვე ხელოვნების გალერეიდან, სახელოვანი ავსტრიელი მხატვრის, გუსტავ კლიმტის ნახატი მოიპარეს, რომელსაც „ქალის პორტრეტის“ სახელით იცნობენ. 23 წლის განმავლობაში, ნახატი დაკარგულად ითვლებოდა, ვიდრე რამდენიმე კვირის წინ, მებაღეებმა, სუროს გასუფთავებისას, მოულოდნელად, იმავე გალერეის კედელში არ აღმოაჩინეს.

შეკვეთილი მკვლელობა უკრაინაში – ქილერი საქართველოს მოქალაქეა?

3 აგვისტოს, უკრაინაში მკვლელობა მოხდა. ქუჩაში მიმავალ ახალგაზრდა კაცს თავს შეიარაღებული პირი დაესხა და ავტომატის ჯერით ჩაცხრილა. უფრო მეტიც, ვიდეოში, რომელიც სათვალთვალო კამერამ გადაიღო, ჩანს, რომ პირველი გასროლის შემდეგ, ქილერი წაქცეულ კაცთან მიდის და ავტომატის ჯერს თავის მიმართულებით ესვრის.

უკრაინის პოლიციამ ვიდეო ტელევიზიით გაავრცელა და მოქალაქეებს მოუწოდა, თუ რამე იციან მკვლელის შესახებ, მონაცემები სამართალდამცავებს მიაწოდონ.

ჩვენი ინფორმაციით, მკვლელი საქართველოს მოქალაქე, ეროვნებით აზერბაიჯანელია. მკვლელობიდან ერთ საათში, მან უკრაინა დატოვა და ავიარეისით თურქეთში გაემგზავრა, მკვლელობის სანაცვლოდ კი, 30 ათასი ევრო გადაუხადეს.

როგორც გარდაცვლილი, ისე თავდამსხმელი, უკრაინაში მოქმედი, ერთმანეთთან დაპირისპირებული კრიმინალური დაჯგუფების წევრები არიან.

ბათო ჯაფარიძე

პოლიციამ თბილისში მომხდარი დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დაკავებულია ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.დ., განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს. დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, კონფლიქტის ნიადაგზე, თავის ნაცნობს – 1983 წელს დაბადებულ მ.მ.-ს, მისსავე დროებით საცხოვრებელ ბინაში, ცივი იარაღის გამოყენებით, სხეულზე მრავლობითი ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ქალი კლინიკაშია გადაყვანილი, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება.

სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე, მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს.

განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-108-ე მუხლით მიმდინარეობს.

პოლიციამ გურჯაანის მუნიციპალიტეტში მომხდარ დაჭრის ფაქტზე ერთი პირი ცხელ კვალზე დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის გურჯაანის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1998 წელს დაბადებული ზ.გ., ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ველისციხეში, ურთიერთშელაპარაკებისას, თანასოფლელი – 1997 წელს დაბადებული რ.ნ., ცივი იარაღის გამოყენებით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილ მამაკაცს შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია, მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

საპატრულო პოლიციამ გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ ძალადობის ფაქტზე ორი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული ა.კ. და 1988 წელს დაბადებული ა.მ., ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით, თბილისში დააკავეს.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, მიმდინარე წლის 9 აგვისტოს, თბილისში, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, 1993 წელს დაბადებულ ჯ.ც.-ს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

სამართალდამცველებმა ა.კ. და ა.მ. ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა გორში, რუსეთ-საქართველოს ომის 13 წლისთავთან დაკავშირებით, დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვახტანგ გომელაურმა გორში, რუსეთ-საქართველოს ომის 13 წლისთავთან დაკავშირებით, დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგო.

ვახტანგ გომელაური გორში, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძესთან, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრ თეა ახვლედიანთან, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროს გრიგოლ ლილუაშვილსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად იმყოფებოდა.

პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა დაღუპულთა მემორიალი გვირგვინით შეამკო. დაღუპულთა სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი, გორისა და ატენის მიტროპოლიტმა ანდრია გვაზავამ გადაიხადა.

პანაშვიდის შემდეგ, მიტროპოლიტმა ანდრია გვაზავამ პრემიერ-მინისტრი და მთავრობის წევრები ოქონის საწინამძღვრო ხატით დალოცა.

ვახტანგ გომელაურმა მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე 2008 წლის ომის გმირების ხსოვნას პატივი მიაგო

შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან, საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილთან, პარლამენტის თავმჯდომარე კახა კუჭავასთან, მთავრობის წევრებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან ერთად, მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე მივიდა. შინაგან საქმეთა მინისტრმა, 2008 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს ომის დროს დაღუპული მებრძოლების ხსოვნას პატივი მიაგო.

2008 წლის აგვისტოში, საომარი მოქმედებების დროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს 14 და სანაპირო დაცვის 5 თანამშრომელი დაიღუპა.

კახეთის პოლიციამ ახმეტაში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა, დაკავებულია – ერთი პირი

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო და საპროცესო ღონისძიებების შედეგად, ახმეტაში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს. სამართალდამცველების მიერ, ყაჩაღობის ბრალდებით დაკავებულია 2005 წელს დაბადებული დ.ჭ.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 7 აგვისტოს, ახმეტაში, მაღაზია „იოლის“ მოლარე-კონსულტანტს პნევმატური იარაღით, სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. დ.ჭ.-მ ყაჩაღური გზით მაღაზიიდან გაიტაცა ფული, სიგარეტის კოლოფები და მიიმალა.

პოლიციამ ბრალდებული დანაშაულის ჩადენიდან მალევე, ახმეტის მუნიციპალიტეტში დააკავა.

ყაჩაღობის ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 179-ე მუხლით მიმდინარეობს.

უძინართა ოლიმპიადა ანუ უკეთესადაც შეიძლებოდა

ტოკიოში მიმდინარე ოლიმპიური თამაშები დასრულდა და შეჯამების დრო დადგა. აქ მხოლოდ ციფრებსა და საინტერესო ფაქტებს შემოგთავაზებთ ანუ შედეგებს, რომლებიც, შესაძლოა, აღარც კი გახსოვდეთ. მაშ ასე:

ჩვენმა დელეგაციამ ტოკიოში 8 მედალი მოიპოვა და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ეს რეკორდული მაჩვენებელია. ამდენი მედალი გუნდს არასდროს მოუპოვებია. იყო 7-7 მედალი პეკინსა (2008 წ) და რიო დე ჟანეიროში (2016). ამის მიუხედავად, ტოკიო ვერ გახდა საუკეთესო ოლიმპიადა ქართული დელეგაციისთვის და მას პეკინის ოლიმპიადამ აჯობა – ჩინეთის დედაქალაქში, 2008 წელს, სამი ოქრო მოვიპოვეთ. ბედის ირონიით, ამ შედეგის ბევრად გაუმჯობესების შანსი იყო, მაგრამ ქართველებმა ხუთი ფინალი წააგეს! მხოლოდ ფინალები კი არა, ბრინჯაოსთვის 5 ორთაბრძოლაშიც დავმარცხდით და ესეც ძალიან დასანანია. თავისუფლად შეიძლებოდა, ქართულ დელეგაციას 13 მედალი ჰქონოდა.

მორიგი ოქრო მოიგო ლაშა ტალახაძემ, რომელიც ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია, უფრო ზუსტად კი, დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, ის პირველი სპორტსმენია, ვისაც ორი ოლიმპიური ოქრო აქვს. ასევე, პირველი სპორტსმენია ლაშა შავდათუაშვილი, რომელსაც ყველა ოლიმპიური სინჯის მედალი აქვს მოპოვებული.

ოფიციალურად, საქართველო დამოუკიდებლად ოლიმპიადაზე, 1996 წლიდან ასპარეზობს (მაშინ ტურნირი ატლანტაში ჩატარდა). თუმცა, მანამდე იყო ბარსელონაში გამართული ოლიმპიური თამაშები (1992 წელი), სადაც ჩვენი ნაკრები „ეს ენ გე“-ს შემადგენლობაში გამოდიოდა და მართალია, გამარჯვების შემდეგ ჩვენი ჰიმნები იკვრებოდა, თუმცა საქართველო ოლიმპიური კომიტეტის წევრი არ იყო და ამიტომ, მედლების ოდენობა საბჭოთა ყულაბაში ირიცხებოდა. ბარსელონაში ოლიმპიური ჩემპიონები ძიუდოისტი დავით ხახალეიშვილი, ძალოსანი კახი კახიაშვილი და თავისუფალი სტილით მოჭიდავე ლერი ხაბელოვი გახდნენ. მოკრივე რამაზ ფალიანმა ბრინჯაო მოიპოვა ისევე, როგორც მოჭიდავეებმა – დავით გობეჯიშვილმა და გოგი კოღუაშვილმა. მშვილდოსნობის გუნდურში ბრინჯაო მოიპოვა ხათუნა ქვრივიშვილმა. მეწყვილეესთან ერთად, ბრინჯაოს მედალოსანი გახდა ჩოგბურთელი ლეილა მესხი.

ტოკიოს ოლიმპიადას ქართული დელეგაციისთვის უსკანდალოდ არ ჩაუვლია. ოლიმპიადაზე ოქსანა კალაშნიკოვა უნდა გვყოლოდა, მაგრამ... კალაშნიკოვას რეიტინგი საკმარისი იყო, რომ ის მეწყვილესთან ერთად, ბოლო მომენტში ოლიმპიელი გამხდარიყო, მაგრამ სეოკ-ს მის სახელზე ოფიციალური განაცხადი არ გაუგზავნია. შედეგად, იმ ბრაზილიურმა წყვილმა, რომელმაც ოლიმპიადაზე ქართველების შეცდომის წყალობით იასპარეზა, ტოკიოში ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. სკანდალი იყო დოპინგ-ტესტზეც. იაპონიაში 35 ქართველი სპორტსმენი წავიდა, მაგრამ 33-მა იასპარეზა. მძლეოსანი ბენიკ აბრამიანი დოპინგზე ჩავარდა, მოცურავე მარიამ იმნაძეს კი ასპარეზობის უფლება კორონავირუსის გამო არ მიეცა.

ბოლოს გეტყვით, რომ ზედიზედ 5 ოლიმპიადაა, რაც საქართველო ოქროს გარეშე არ რჩება. ასევე, ზედიზედ 4 ოლიმპიადაა, რაც საქართველოს მედლების სრული კომპლექტი აქვს. დამოუკიდებელი საქართველოს სახელით, სულ 10 ოქრო მოვიპოვეთ და ეს 9 სპორტსმენმა გააკეთა (ტალახაძეს ორი ოქრო აქვს). ნინო სალუქვაძე, რომლისთვისაც ტოკიოს ოლიმპიადა ზედიზედ მეცხრე იყო, ერთადერთი ქალი სპორტსმენია, რომელმაც საქართველოს სახელით, ოლიმპიური მედალი მოიპოვა. ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიურ ჩემპიონად ლაშა შავდათუაშვილი რჩება (20 წელი, 6 თვე, 2 დღე). ლაშა ბექაური ტოკიოში ჩემპიონი 21 წლისა და 2 დღის ასაკში გახდა.

ყველაზე მეტი ოქრო ტოკიოს ოლიმპიადაზე ამერიკამ მოიპოვა – 39. შტატებს ერთი ოქროთი ჩამორჩა ჩინეთი, ხოლო მესამე ადგილზე გასულ იაპონიას 27 ოქრო აქვს.

12 აგვისტოს, ბათუმის „დინამოს“ დიდგორი აქვს

12 აგვისტოს, ზუსტად 900 წელი გადის დიდგორის ბრძოლიდან. „ძლევაი საკვირველი“ საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი (თუ ყველაზე არა) გამორჩეული ბრძოლაა...

12 აგვისტოს, ევროთასებს შემორჩენილი ერთადერთი ქართული კლუბი, ბათუმის „დინამო“ თურქეთში, „სივასპორს“ ეთამაშება. როგორ გინდა, ამ თარიღს გვერდი აუარო, როცა გულშემატკივრები სოციალურ ქსელებში, სწორედ „ძლევაი საკვირველს“ ითხოვენ. პირველი შეხვედრა აჭარლებმა საკუთარ მოედანზე 1:2 წააგეს, მაგრამ ალალად ვთქვათ – გია გეგუჩაძის გუნდი დამარცხებას არ იმსახურებდა და არ ჩანს „სივასპორი“ ის გუნდი, „დინამომ“ რომ ვერ მოუგოს. შეხვედრა თბილისის დროით 22.00 საათზე დაიწყება და... ქართველებს „ძლევაი საკვირველი“ ახლა თურქეთში უნდათ.

კვარაცხელიას საგა 5 სექტემბერს უნდა დასრულდეს

იმის მიუხედავად, რომ ხვიჩა კვარაცხელიას ტრანსფერი, თითქოს, აქამდე უნდა განხორციელებულიყო, ქართველი შემტევი კვლავ „რუბინის“ რიგებში ასპარეზობს. ყაზანურმა კლუბმა ცოტა ხნის წინ დაწყებულ რუსულ პრემიერ-ლიგაში, სამი შეხვედრიდან, სამი მოიგო და ჩემპიონატს ერთპიროვნულად ლიდერობს. კვარაცხელიამ გოლის გატანაც მოასწრო, ბოლოს გამართულ ტურში საუკეთესო ფეხბურთელადაც აღიარეს, მაგრამ ყველა ამბობს, რომ ის რუსეთის ჩემპიონატისთვის უკვე გაიზარდა და წასვლის დროა.

„კვარაცხელიას თაობაზე, ბევრ საუბარს არ ვაპირებ. მისი მომავალი 5 სექტემბერს გაირკვევა. რატომ 5 სექტემბერს? იმიტომ, რომ ასეა გადაწყვეტილი, მეტს არაფერს გეტყვით“, – განაცხადა „რუბინის“ პრეზიდენტმა ჟურნალისტებთან საუბრისას და ისე ჩანს, ხვიჩა ან ამ დღეს გადავა სადმე, ან ახალ სეზონსაც „რუბინში“ გაატარებს.

„ბარსელონაში“ ეპოქა დასრულდა – მესი სიყვარულის ქალაქში მიდის

„ამისთვის მზად არ ვარ, ვფიქრობდი, რა უნდა მეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოვიფიქრე. ამას არ ველოდი, ერთი წლის წინ ვიცოდი, რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვიყავი, რომ დავრჩებოდი. აქ ძალიან პატარა ჩამოვედი და მინდოდა, ცხოვრება აქ გამეგრძელებინა. 21 წლის შემდეგ მივდივარ ჩემს მეუღლესთან და ჩემს სამ კატალონიელ-არგენტინელ შვილთან ერთად. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ დავბრუნდებით, რადგან ეს ჩემს შვილებს შევპირდი და ეს არის ჩვენი სახლი“, – ლიონელ მესიმ ეს სიტყვები გამოსამშვიდობებელ პრესკონფერენციაზე თქვა და ატირდა.

ატირდა ისე, როგორც პატარა ბავშვი და ძალიან, ძალიან გულწრფელი იყო.

კატალონიური კლუბი დატოვა კაცმა, რომელიც ბარსელონას აკადემიაში 2000 წელს ჩაირიცხა, 2004 წელს კი მთავარ გუნდში პირველად ითამაშა. მან ესპანურ კლუბში, 778 მატჩში, 672 გოლი გაიტანა და ყველა შესაძლო ტიტული მოიგო, მათ შორის, ოთხჯერ ჩემპიონთა ლიგა. ის ექვსჯერ დაასახელეს პლანეტის საუკეთესო ფეხბურთელად ანუ ექვსჯერ მოიგო „ოქროს ბურთი“ და ექვსჯერ მოიგო „ოქროს ბუცი“, როგორც პლანეტის საუკეთესო ბომბარდირმა.

„ბარსელონა“ მოთამაშეებზე, მწვრთნელებსა და დირექტორებზე მაღლა დგას. ვერ მივიღებდი ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც კლუბს დაანგრევდა. ლეოს დარჩენა სურდა, ამ რთულ მდგომარეობაში მყოფები, მოლაპარაკებებს რამდენიმე თვე ვაწარმოებდით. ფეხბურთელს სხვა შემოთავაზებებიც ჰქონდა, ჩვენ პრობლემას ვერ ვაგვარებდით და პროცესი ოდესმე უნდა დასრულებულიყო. თავიდან 2-წლიანი კონტრაქტი შევთავაზეთ, ხელფასს კი 5 წელზე გადავანაწილებდით. მესი მზად იყო, ნებისმიერი ფორმით დაგვხმარებოდა და ხელი შეეწყო. შემდეგ 5-წლიან კონტრაქტზე შევთანხმდით, არადა, 2 წელზე გვქონდა გათვლა. თუმცა მაინც არაფერი გამოვიდა“, – ეს განცხადება „ბარსას“ პრეზიდენტს, ხუან ლაპორტას ეკუთვნის.

იმის მიუხედავად, რომ ჯერ ოფიციალურად დადასტურებული არაა, მესი კარიერას ფრანგულ „პარი სენ ჟერმენში“ გააგრძელებს. პარიზულმა კლუბმა 10 აგვისტოსთვის... ეიფელის კოშკი იქირავა და როგორც ამბობენ, ლეოს სწორედ, ეიფელის ფონზე წარადგენენ. ის კონტრაქტს 2+1 სისტემით გააფორმებს, წლიურად 50 მილიონ ევროს მიიღებს და ამას გარდა, დამატებით 30 მილიონს – გუნდში უფასოდ მისვლის გამო. ექსპერტები თანხმდებიან, რომ ეს ციფრი არაფერია იმასთან შედარებით, რასაც მესის ყიდვით „პსჟ“ იხეირებს. სარეკლამო კონტრაქტები, მაისურების გაყიდვიდან შესული თანხები, ტიტულები, რომლებსაც მესის წყალობით მოიგებენ, ამ დანახარჯს მინიმუმ სამჯერ ამოიღებს. გადაწყვეტილია ისიც, რომ ლეო 10-ნომრიან მაისურს ნეიმარს არ წაართმევს და ახალ გუნდში 19-ნომრიანი მაისურით იასპარეზებს. ეს ის ნომერია, რომლითაც ლეომ კარიერა „ბარსელონაში“ დაიწყო.

უკრაინა რებროვს ჩააბარეს

მას შემდეგ, რაც ანდრეი შევჩენკომ უკრაინის ნაკრების მწვრთნელობაზე უარი თქვა, ფეხბურთის ფედერაციას ბევრი არ უფიქრია და ქვეყნის მთავარი გუნდი შევჩენკოს ყოფილ თანაგუნდელს, სერგეი რებროვს ჩააბარა. მოგეხსენებათ, შევამ უარი მას შემდეგ თქვა, რაც სამწვრთნელო შტაბისთვის ხელფასად 3 მილიონი დოლარის დანიშვნა მოითხოვა, თუმცა მხოლოდ 1.5 მილიონი მიიღო. ამის გამო, ანდრეი გულშემატკივრებმა ლამის ჯვარზე გააკრეს, აქაოდა, ისედაც ოფიციალური მილიონერი ხარ, ქვეყანა ომშია, უჭირს, შენ კიდევ ფულს ითხოვო.

რებროვს სამწვრთნელო გამოცდილება აქვს, ევროპაშიც უმუშავია, უკრაინაშიც და გულშემატკივრები მისგან შედეგებს ელიან. შეგახსენებთ, რომ შევჩენკოს ხელმძღვანელობით, უკრაინის ნაკრებმა, ამ ზაფხულს გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ¼-ფინალს უწია, რაც ძალიან კარგი შედეგია.

ალექსანდრე ჭავჭავაძე

გოგჩა

გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვილო, წმინდა, უძრავი,
თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ.
მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძით მმოსველნი,
საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა,
სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა. -
ჭმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ
უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა.
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:
აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი.
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!
ესე კამარა ძლივ საცნობო ყოფილ ტაძარად,
სად კვლავ მეფენი მოწიწებით იდრეკდნენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა, -
დღეს ეს ნაქცევი, სახიერად მაჩრდილობელი,
ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოდენ პირუტყვთა,
ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა, და ხან წარმვლელი
მუნ შეაფარებს საქონელთა, შორით ზიდულთა!
ეს გროვა ქვათა სახე შლილის ოთხკუთხედისა
ადგილ არს, სადა სავაჭრონი მდიდრად წყობილან;
სომეხნი, მხნენი ხელოვანნი მომგებლობისა,
პირსა ქვეყნისას ამა საქმით ადრივ ცნობილან.
მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურურთა მქონე
არა-თუ ვერცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი.
აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე;
მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლიან კვალნი!
მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს ქვა-ყრილსა ბნელად,
კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნით ტაცება ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა და ისართ სროლა.
ერთგზის ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი,
ურთიერთთანა კავშირობით ამაღლებულან;
მკუთვნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი,
ოდესმე მათში განცხრომილან და განშვებულან.
აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანეთთა.
რავდენთ ბანოვანთ შვენებანი ახლად მშლილობნი
ჭავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას;
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი, და გიშრის მწყობრნი
რავდენგზის ტურფად გარდუღია სარკესა წყლისას.
რავდენგზის მთვარეს, თავ-მომწონეს მათთან შთახედვით,
უგრძნვია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლვილა!
მაგრამ რა?!. დროსა მსრველის ცელით, ყოვლთა წარწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!

გუთნის დედა

მშვიდობით, ხოდაბუნო, მშვენიერო და კარგო,
ამას იქით ვეღარ გხნავ, ასე უნდა დაგკარგო,
ცხენი დამზანტებია დრო მრავალ-გამოვლილი,
გდია თავ ჩამოგდებით ჩუთის წევით მოღლილი.
კვლავ მასც ჰქონდა ერთი დრო რომ რამდენსმე დღიურსა.
ერთის შებმით მოჰხნევდა, არ გაიბერტყდა ყურსა.
ახლა გინდ ათი სახრეც კაცმა ზედ დაამტვრიოს
მგონია ერთი კვალიც რიგზე ვერ გააკვლიოს.
ნეტავი მას დროს, ცხენო, რომ ყელმოღერებული,
კუნტრუშით აბრუნებდი ბელტებს განხურვებული,
ახლა ასე მგონია, რაგინდ თავი აწყვიტო,
ბაწრითაც რომ დაგაბა, ისიც ვეღარ ასწყვიტო.
უწინ მწვე არ ვიტყოდი, ეს მიწა მაგარია,
ჩემთვის მაშინ სწორ იყო ველი, მთა და ბარია,
თუ გონებაზე ვიყავ, მაშინვე შევაბემდი
ჩემსა ჩუთს და სიმღერით ყამირსაც ლბილებრ ვხნევდი.
ზოგი მიწა მტკიცეა, ზოგი ხმელი, ქვიანი,
ზოგს ხირხატს ეძახიან, ზოგი არის წყლიანი,
მაგრამ სულ ტყუვილია, ადგილით რა იქმნება,
თუ მხვნელი თითონ ვარგობს, ყველგან ხლტომით
იხვნება.
ვინ დასდევდა ახოსა ეკლიანს, ძეძვიანსა,
ყველგან ვხნევდი და ვმკიდი ნაყოფს ბარაქიანსა,
მაგრამ ახლა სიბერემ მეც გამაწყო არჩევას,
ატყევებულთ ნახნავთა ვეღარ უბედ გარღვევას.
თუ ადგილი არ მომწონს ვჯავრობ, ვშფოთავ, ვღო-
ნდები,
მაგრამ ლბილთ ხოდაბუნთა კვალად ისევ ვეწყობი.
და იმათაც ასეთთა, რომ აბრეშუმებრ ბალახს
კრძალვით ძლივ გაებედვნოსთ თავის ჩენა იმ ალაგს.
ეჰ, ნეტა რაღად მინდა რჩევა ალაგებისა,
რადგანც ღონე არა მაქვს არც ხვნის, არცა თესვისა,
ჭაბუკო მეგუთნენო! თქვენც ხართ, ვიყავ მე ვითა.
ამისთვის შემიბრალეთ ცრემლისა დათხევითა;
და თქვენ, ხოდაბუნებო, ჩემს მოხუცებულს ცხენსა,
ბალახის მოძოვებით მაინც სცემდეთ ნუგეშსა.
თქვენს ხვნაზე ხელის ამღე მხოლოდ ჭვრეტით ვიხარებ
და თქვენს მწვანეზე სრბოლით გულის წყლულს დავიამებ.

გული წამართვი

გული წამართვი ცნობითურთ, მითხარ, ნაცვალი მომე
რა?
ვეღარ გავძელი უშენოდ, გაყრისა სევდა მომერა.
დამწვი და წყალი არ მომეც - დამწვარსა გულსა მომერა:
უვარდოდ წალკოტისათვის თვალნი რისათვის მომე-
რა?!

დიდმარხვაში

მარხულნო, მანამ ცხონდებით,
ნეტა, ქარებით რათ კვდებით!
ლობიო ღვინით დაარჩეთ,
თორემ აქავე წაწყმდებით!

დუგა

1
სოფლის მიმნდობთა ბოლო აქვთ შხამად,
ლხინი, შექცევა თვალისა წამად.
2
არა ერთხელ სიჭაბუკე დაუთრთვილავს სიბერესა.
არა ერთხელ ბედის დილა შეუცვლია შავ ღამესა.
3
გვედრი, თვით მიხვდე, - მიკვირს, ცნობა მეძნელებიან,
რასაცა მარად თვალნი ჩემნი გეუბნებიან.
4
შენთვით ხელობა თუ ვინ მიზრახოს,
რაბამათ შერცხვეს, თუ თვალით გნახოს.
5
თუ დიდი ლხენა ან ჭმუნვა გვამიზეზებდეს სიკვდილსა,
ვითღა რჩეს სული მოყვსისა, თან მხლესა ანუ შორ-
ქმნილსა.
6
სამოთხის შვება რამ მაცნობა, - მითხრაცა ენამ,
იმასთან ყოფნამ, მისმან ჭვრეტამ და მისმან სმენამ.
7
კვლავ მარად ჩემსა სურვილსა იმედი წინ უძღოდა,
აწ სურვა გულსა კვლაებრ სწვამს, მაგრამ ვარ უიმე-
დოდა.
8
ვინ იცის ჩემნი ტანჯვანი ბნელი დღისა თუ ღამისა,
ტრფობისა კიდე რა შესწამს? მიზეზიცა ვსთქვა ამისა.
9
ოდენ ხმა შენი მესმოდეს, ოდეს შენს სახეს ვხედვიდე,
ესე რომ მწყურდეს ამისთვის რას ვგმობდე, ან რას
ვცოდვიდე!
10
ვინც გიხილოს, ინატვრიდეს კვლავცა გნახოს, კვლავცა
გნახოს.
გნახოს ცნობას ისურვიდეს და რა გიცნას შენთვის
ახოს.

ედემს რგულსა

ედემს რგულსა საროს მაშორვა ბედმან,
აროდეს ნუგეშს მცა მასთან დაზმითა.
მიმუხთლა სოფელმან რისხვითა მხედმან,
აწ ხმეული მშთარ-ვარ სურვილის-სმითა.
ლალ-ბროლსა შერევნია შეთხზულად,
იაგუნდს ჰყავნ მარგალიტნი შეცულად.
როს განაპის, მჭვრეტს იქმს განლიგებულად,
აღავსებს მის ბაგეთ თვისის ქებითა.
ეკაზმინ სამოდ წარბნი მოხრილნი,
მელნის ტბათ გარემოს არს ზღვანი გრილნი;
მათცა გარ მოზღუდვენ ჰინდთ ჯარნი ყრილნი,
ჰკოდენ მჭვრეტთა გულსა ისართ პირ ხმითა.
ნათელსა ჰსცემს მრჩობლი ბროლის ფიცარსა,
ზილფნი აშვენებენ ყელს საფიცარსა;
ვეშურვ რაყიფს მისს სიახლეს ვინც არსა.
გლახ მოწყლულ მაქვს გული წყვდიადსა ბმითა!
ერთი იგი ვნახე ლახვარ ჭურვილი,
მიჯნურთ გულთ მოსრვისა აქვნდა სურვილი.
მეც მხვდა მისგან წყლული, მექმნა ურვილი,
აწ, ენაო, რა გეწამლოს ჭირთ თქმითა!

ვარდო კოკობო!

ვარდო კოკობო, ყოვლთა მჯობო, მომხედე კრულსა,
მე შენსა მჭვრეტსა, განარეტსა თვალ-დაურულსა!
მოვედ, მეკონე და მიმონე, მეწამლე წყლულსა;
აღთქმა გრძნობითი, წამ-ყოფითი სრულ უქმენ გულსა,
გრძნობათა ჩემთა საკამათოვ, ვაჰ, შენგან კლულსა!
ბროლის ხელთ ქნევა, ზილფთა რყევა, წამ-ყოფა თვალთა,
მიშმაგვენ გულსა, შაეშყულსა, დამსდებენ ვალთა,
რათა სხვათა მათ დამტევებმან შეგიპყრა კალთა,
არ ვჰრიდო შავთა ჰინდთა ჯართა მათ დაუთვალთა
და მივეახლო ბროლსა მრჩობლით განათლებულსა.
გრძნობათა ჩემთა საკამათოვ, ვაჰ, შენგან კლულსა!
წალკოტის კარსა, ძნელ საკარსა შენსა მლოდესა -
ცუდ მექმნა რეკა, ოხვრათ ჭექა მუნა მჯდომელსა;
ღამე მითენდა, განმიდღევდა სულ-სახდომელსა,
არ გამომხედე მე სიცოცხლე-დაუყოვნელსა.
ამად ვიტყოდი ცრემლთა ფრქვევით მიჯნურის თქმულსა:
გრძნობათა ჩემთა საკამათოვ, ვაჰ, შენგან კლულსა!

კორონავირუსს ლუდით კურნავს

კორონავირუსის შედეგების მკურნალობის ახალი მეთოდი გერმანიაში დაფიქსირდა. მისი ავტორი ქალაქ შვერინის საავადმყოფოს პულმონოლოგი, რიჰარდ ჰოლბრიხია, რომელმაც სტანდარტული პროტოკოლებით მკურნალობის ნაცვლად, ძირითად პრეპარატად ქარვისფერი სასმელი გამოიყენა. კვლევების შედეგების მიხედვით, წლის დასაწყისიდან დღემდე, კორონავირუსით დაავადებული მისი 3 ათასი პაციენტიდან არც ერთი არ გარდაცვლილა. ავადმყოფების რეაბილიტაცია კი ორჯერ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა. გერმანიის ჯანდაცვის ექსპერტებმა ჰოლბრიხის თერაპია ეფექტურად აღიარეს.

„მიმაჩნია, რომ მთავარი ორგანიზმის მოტივირებაა - დაძლიოს დაავადება. საამისოდ კი მკურნალობა სასიამოვნო უნდა იყოს. პაციენტები სტიმულს იღებენ. საინტერესოა, რომ ლუდს შესანიშნავად იღებდნენ ისინიც კი, რომლებიც ხელოვნურ კომაში იმყოფებოდნენ. ორ-სამ დღეში, მათ აპარატებიდან ვხსნიდით და ჩვეულებრივ პალატაში გადაგვყავდა“, - აცხადებს დოქტორი ჰოლბრიხი.

მისი თქმით, ლუდით დამოუკიდებლად მკურნალობა არ ღირს, რადგან ადამიანი საკუთარ თავს ზუსტ თერაპიას ვერ დაუნიშნავს. ექიმი კი, ანალიზებზე დაყრდნობით, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებს - ქარვისფერი სასმელის ბრენდისა და მის რაოდენობასთან დაკავშირებით.

ყველაზე დიდი პირის მქონე რეკორდსმენი

გინესის წიგნის მორიგი რეკორდსმენი ამერიკელი სამანტა რამსდელია. რეკორდსმენთა სიაში საპატიო ადგილი მას საკუთარმა უზარმაზარმა პირმა არგუნა. წარმოუდგენელი უნარები ქალმა „ტიკ-ტოკზე“ გააზიარა - ასე, მაგალითად, ერთი ჩაკბეჩით, მას უზარმაზარი საკვების მირთმევა შეუძლია. მის პირში თავსდება მთლიანი მწვანე ვაშლი ან კარტოფილი-ფრის დიდი პორცია. უჩვეულო სანახაობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის გამომწერებზე, რომელთა რიცხვიც უკვე 1.7 მილიონს აჭარბებს. სამანტას პირის სიგრძე 6.52 სანტიმეტრია, რაც ოფიციალურად დაადასტურეს გინესის რეკორდების წიგნის წარმომადგენლებმა და რამსდელს შესაბამისი სერტიფიკატიც გადასცეს.

წამწამების ტუში სიბრმავეს იწვევს?

დიდი ბრიტანეთის თვალის კლინიკების სპეციალისტები აცხადებენ, რომ წამწამების ტუში, შესაძლოა, სიბრმავის წარმოქმნის მიზეზი გახდეს. ის მანდილოსნებს მომნუსხველ გამოხედვასაც ანიჭებს, თუმცა, როგორც ბოლო გამოკვლევებმა აჩვენა, ეს კოსმეტიკური საშუალება სიბრმავის წარმოშობის მიზეზიც შეიძლება გახდეს. კვლევების მიხედვით, ქალები თავს საფრთხეში იგდებენ, როცა ვადაგასულ ტუშს იყენებენ. გამოკითხვებისას, რესპონდენტთა 70%-მა აღიარა, რომ ისე ხმარობდნენ ტუშსა და თვალის ფანქარს, არ იცოდნენ, რომ უკვე ვადაგასული იყო. მკვლევარებმა ისიც დადგინეს, რომ გამოკითხვაში მონაწილეთა ორი მესამედი, ვადაგასულ ტუშს ერთი წლის განმავლობაში იყენებდა. ისეთებიც აღმოჩნდნენ, რომლებიც ისეთ კოსმეტიკურ საშუალებებს ხმარობდნენ, რომელთა ვადაც უკვე 10 წლის გასული იყო. უფრო მეტიც, რესპონდენტი ქალბატონების 20%-ს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ მაკიაჟის საშუალებებს მოქმედების ვადა აქვთ. ვადაგასულ დეკორატიულ კოსმეტიკას, უარეს შემთხვევაში, შეუძლია ალერგია გამოიწვიოს, თუმცა სწავლულების განცხადებებით, საქმე გაცილებით რთულადაა. თხევადი სახის კოსმეტიკური საშუალებები ბაქტერიების გამრავლების საუკეთესო წყაროა. მათი გამოყენებით, პათოგენური მიკროორგანიზმებით ინფიცირება ხდება. სპეციალისტები ყველა მანდილოსანს მოუწოდებენ, აუცილებლად შეამოწმონ კოსმეტიკური საშუალებების ვარგისიანობის ვადა და ის თბილ ადგილას არ შეინახონ.

სუპერ-სპრეი ვირუსის ყველა შტამის წინააღმდეგ

ესტონელმა სწავლულებმა შექმნეს პრეპარატი, რომელიც ეფექტურია კორონავირუსის ორიგინალური შტამისა და მისი სხვა მუტაციების, მათ შორის, „დელტას“ წინააღმდეგ. ეს ცხვირის სუპერ-სპრეია და მან უკვე გაიარა ლაბორატორიული კვლევები. სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ სპრეი ეფექტურად იცავს კორონავირუსის ბრიტანული და სამხრეთაფრიკული შტამებისგან და ვირუსის სხვა ცნობილი ტიპებისგან. ესტონელების პროდუქტის ტექნოლოგია უკვე დაპატენტებულია. როდის დაიწყება სპრეის კლინიკური კვლევები, ჯერჯერობით, უცნობია.

ვაქცინის ავტორი „ბარბის“ თოჯინად აქციეს

კომპანია Mattel-მა „ბარბის“ ახალი თოჯინა შექმნა, რომელსაც ბრიტანელი მეცნიერის, სარა გილბერტის სახე აქვს. ოქსფორდის უნივერსიტეტში, სარა AstraZeneca-ს ვაქცინის შექმნას ხელმძღვანელობდა. როგორც პროფესორს, „ბარბის“ თოჯინასაც წითური თმა აქვს და ისიც სათვალეს ატარებს. მეცნიერი ამბობს, რომ სათამაშოს გამოშვება უჩვეულოდ ეჩვენება, თუმცა იმედი აქვს, რომ თოჯინა გოგონებს უბიძგებს, ტექნოლოგიის, ინჟინერიისა და მათემატიკის სფეროთი დაინტერესდნენ. აღსანიშნავია, რომ სათამაშოების კომპანიამ თოჯინები ხუთი სხვა ქალის პატივსაცემადაც შექმნა, რომლებიც ჯანდაცვისა და სამეცნიერო კვლევების სფეროში მოღვაწეობენ. ესენი არიან: ამერიკელი მედიკოსები - ემი ო'სალივანი და ოდრი კრუზი, კანადელი ექიმი და აქტივისტი ჩიკი სტეისი ორიუვა, ბრაზილიელი ბიომედიკოსი ჟაკლინ გუს დე ხესუსი და ავსტრალიელი დოქტორი, კირბი უაითი.

ახალი სუნამო მამაკაცებისთვის

კომპანია Ford-ი, ძლიერი სქესის წარმომადგენლებს ახალ სუნამოს სთავაზობს, რომელსაც ბენზინის არომატიც აქვს. როგორც გამოცემა "ფორბსი" წერს, ელექტრომობილების მძღოლების დაახლოებით 70% აღიარებს, რომ ტრადიციულ, საწვავიან ავტომობილებზე უარის თქმის შემდეგ, ყველაზე მეტად ბენზინის სუნი ენატრებათ. სწორედ ასეთ მამკაცებზეა გათვლილი ახალი არომატიც სახელწოდებით - Mach-Eau. ამასთან, კომპანიაში იმედოვნებენ, რომ ახალი სუნამო ავტომობილების - Mach-E GT-ის გაყიდვაში დაეხმარებათ. სპეციალური კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ პოპულარული არომატების სიაში, ბენზინმა ღვინისა და ყველის სასიამოვნო სუნებს გადაასწრო. ახალი სუნამოს შექმნაში კომპანიას ბრიტანული Olfiction დაეხმარა.

პრემიერმა ბიუჯეტში ფული დააბრუნა

დასავლური მედიის ცნობით, ფინეთის პრემიერ-მინისტრმა, სანე მარინმა ბიუჯეტში ფული დააბრუნა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც სკანდალი აგორდა და გაირკვა, რომ ჩინოვნიკი საკუთარი საუზმისთვის ფულს ბიუჯეტიდან ხარჯავდა. ფინეთის კანონმდებლობაში არ არის მუხლი - პროდუქტის შეძენა ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის. დანახარჯი მედიამ, დაახლოებით, 14 ათას ევროდ შეაფასა, თუმცა პრემიერმა ბიუჯეტში 10 ათასი ევრო დააბრუნა, რომელიც გასულ წელს დახარჯა. წლის ბოლომდე, მარინმა თანხის დარჩენილი ნაწილიც უნდა დააბრუნოს.

საუკეთესო ქვეყანა მსოფლიო კრიზისის გადასატანად

ბრიტანელი სწავლულების კვლევების მიხედვით, ახალი ზელანდია, დიდი ბრიტანეთი, კუნძული ტასმანია და ირლანდია - ყველაზე უფრო შესაფერისი ტერიტორიებია გლობალური კოლაფსის გადასატანად. მკვლევარებმა განიხილეს დანამგრეველი კლიმატური და ფინანსური კრიზისების ალბათობა, კატაკლიზმებისა და პანდემიების სერიები. იმის გასარკვევად, რომელი ქვეყნები შეძლებდნენ გამკლავებას გლობალურ კრიზისთან, სწავლულებმა შეაფასეს დამოუკიდებლად პროდუქტების მოყვანის შესაძლებლობა, საზღვრების დაცვა მასობრივი მიგრაციისგან, ელექტროენერგიის უწყვეტობა და წარმოების სიძლიერე. შედეგად, გამოავლინეს კუნძულოვანი ქვეყნები ზომიერი კლიმატითა და მოსახლეობის ნაკლები სიმჭიდროვით. გადარჩენისთვის ყველაზე სასურველ ზონად მკვლევარებს ახალი ზელანდია მიაჩნიათ - მისი გეოთერმული და ჰიდროელექტროენერგიით, სასოფლო-სამეურნეო მიწების სიუხვით, გეოგრაფიული მდებარეობითა და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით.

დაჭერილ თევზში ნახევარი მილიონი მიიღეს

ამერიკელმა პიტერ შულცმა და მისმა მეთევზეების გუნდმა გიგანტური ხმალა თევზი დაიჭირეს. მისი წონა 136 კილოგრამს შეადგენს. თევზის დასაჭერად, მამაკაცებს რვა საათი დასჭირდათ. მათი ნადავლი ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტმა შეაფასა. მეთევზეები Big Fish Classic Tournament-ის ტურნირში მონაწილეობდნენ, რომელიც მერილენდის შტატში, ოუშენ-სიტიში გაიმართა. ტურნირის გამარჯვებულებმა ჯილდოს სახით, 542 600 დოლარის ჩეკი მიიღეს.

კოფეინი მხედველობას იცავს

ტოკიოს უნივერსიტეტის სამედიცინო სკოლის მეცნიერების განცხადებით, კოფეინის მოხმარება აუმჯობესებს თვალის უნარს, ცრემლი გამოიმუშავოს. სპეციალისტების თქმით, მათი აღმოჩენა საშუალებას მისცემთ, დაიხვეწოს ეგრეთ წოდებული, „მშრალი თვალის“ სინდრომის მკურნალობის მეთოდიკა. სინდრომს (ცრემლის აპკი შრება და ვერ ასწრებს აღდგენას) თან ახლავს ისეთი სიმპტომები, როგორებიცაა თვალში უცხო სხეულის შეგრძნება, წვა, ქავილი, სიმშრალე, შუქის შიში, თვალის სწრაფი დაღლა. იაპონელ სწავლულთა კვლევაში 78 ადამიანი მონაწილეობდა, რომლებიც კოფეინსა და პლაცებოს იღებდნენ. შედეგად, ისინი, რომლებიც კოფეინს იღებდნენ, მნიშვნელოვნად გაეზარდათ ცრემლის გამომუშავება. მკვლევარები აცხადებენ, რომ კოფეინის მიღებას მხოლოდ იმ პაციენტებს ურჩევენ, რომლებიც შედარებით მგრძნობიარენი არიან ამ ნივთიერების მასტიმულირებელი ეფექტების მიმართ. „მშრალი თვალის“ სინდრომის არსებობისას კი, სწავლულები გვირჩევენ, აუცილებლად სპეციალისტს მივმართოთ.

გარდაცვლილებს გააცოცხლებენ?

უახლოეს მომავალში, რეანიმატოლოგი-მედიკოსები შეძლებენ, სიცოცხლე დაუბრუნონ ადამიანებს, რომლებიც 24 საათის წინ გარდაიცვალნენ. გამონაკლის შემთხვევებში, სამი დღის გარდაცვლილის გაცოცხლებაც კი შესაძლებელი იქნება. ადრე სწავლულები მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ტვინი, გულის გაჩერების შემდეგ, მხოლოდ ხუთი წუთი ცოცხლობს, მაგრამ ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დაადგინეს, რომ სწორი რეანიმაციისას, ადამიანის ტვინის უჯრედები გაცილებით მეტ ხანს ცოცხლობენ. მეცნიერები ექიმებს სთავაზობენ, ადამიანის სხეული 32 გრადუსამდე გააციონ - ასეთ ტემპერატურაზე, ორგანიზმში ტოქსიკური ნივთიერებების გამომუშავება და უჯრედების კვდომა ფერხდება, ტვინს კი ნაკლები ჰაერი სჭირდება, რისი წყალობითაც ის სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს.

„ჭკვიანი კბილი“ გაგაკონტროლებთ



ტაივანის უნივერსიტეტის მეცნიერებმა „ჭკვიანი კბილი“ გამოიგონეს. ის ადამიანს საშუალებას აძლევს, საკუთარი მავნე ჩვევები აკონტროლოს. ხელოვნური კბილი განსაზღვრავს, მაგალითად, რამდენად ხშირად ეწევა მისი პატრონი, ან რომელი პროდუქტები უნდა გამორიცხოს კვების რაციონიდან. ახალი მოწყობილობა კბილის იმპლანტში მაგრდება. მასში ჩამონტაჟებულია სპეციალური გადამცემები, რომლებიც ინფორმაციას იღებენ და ამ მასალას მკურნალ ექიმს გადასცემენ. ახალი მოწყობილობა ჯერ კიდევ ტესტირების რეჟიმშია.

ექსპერიმენტში მონაწილეებმა მოწყობილობა სხვადასხვანაირად გამოსცადეს - ღეჭავდნენ საღეჭ რეზინს, ახველებდნენ, სვამდნენ წყალს, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ... „ჭკვიანმა კბილმა“ 94%-იანი სიზუსტით დაადგინა ადამიანის მოქმედება და მიხვდა, ის ჰამბურგერს მიირთმევდა, თუ საღეჭი რეზინი ედო პირში. ხელოვნური კბილის შემქმნელები ირწმუნებიან, რომ მათი გამოგონება უსაფრთხოა როგორც თავად მისი მომხმარებლისთვის, ასევე, გარშემომყოფებისთვისაც. მისი გადაყლაპვის შემთხვევაშიც კი არ არსებობს ზიანის მიყენების შანსი. სწავლულებს სურთ, რომ ინოვაციური მოწყობილობა ინფორმაციას ელექტრონულ მატარებლებზეც - სმარტფონებზე ან კომპიუტერზე, „ბლუთუსის“ მეშვეობით გადასცემდეს ინფორმაციას.

ავსტრალიურმა კენკრამ კიბო დაამარცხა



პრეპარატმა, რომელიც იშვიათი ავსტრალიური მცენარისგან დაამზადეს, ორ კვირაში, 70%-ით გაანადგურა სიმსივნური წარმონაქმნები საცდელ თაგვებზე. წამალს, კოდური სახელწოდებით - EBC-46, ჰილანდიას (Hylandia dockrillii) კურკებისგან იღებენ. ჰილანდია მხოლოდ ავსტრალიაში, ქვინსლენდის შტატის ტროპიკულ ტყეებში ხარობს. სწავლულებმა „მწვანე კონტინენტიდან“, ახალი პრეპარატის ინექცია უშუალოდ მელანომაში გააკეთეს, მღრღნელების კანზე, ასევე, 300 შინაური ცხოველის (ძაღლების, კატებისა და ცხენების) სიმსივნეებში კისერზე, თავსა და ნაწლავებში. ინექციიდან ხუთი წუთის შემდეგ, მელანომას გარშემო ადგილი იასამნისფერი ხდებოდა, როგორც ჩალურჯებების დროს, ერთი დღე-ღამის შემდეგ შავდებოდა, ორი დღის შემდეგ, ხმობას იწყებდა და ორ კვირაში, გამხმარი კანი თავად სძვრებოდა. მის ქვეშ კი სუფთა კანი იყო, კიბოს ყოველგვარი ნიშნების გარეშე.

მკვლევარების მოსაზრებით, პრეპარატი უჯრედულ რეაქციას იწყებს, რომლის დროსაც სიმსივნე სისხლით აღარ მარაგდება. ადამიანის ორგანიზმი მელანომას ჩვეულებრივ ჩალურჯებად აღიქვამს და ააქტიურებს აუცილებელ იმუნურ რეაქციებს. შედეგად, სიმსივნიანი კანი „სუფთავდება“. თუმცა, კვლევების დროს აღმოჩნდა, რომ წამალი უშედეგოა სხვა ორგანოებზე გადასული კიბოს უჯრედების (მეტასტაზებისას) წინააღმდეგ. მეცნიერების თქმით, ახალი პრეპარატი მთლიანად ვერ ჩაანაცვლებს ქიმიოთერაპიას, მაგრამ წარმატებული კლინიკური ცდების შემთხვევაში (ამის ნებართვა მკვლევარებს უკვე აქვთ), მას იმ პაციენტებს ურჩევენ, რომლებისთვისაც ქიმიოთერაპია არ შეიძლება.

დიაბეტი დავიწყებას მიეცემა

ჰარვარდის უნივერსიტეტის სწავლულების ახალი ნამუშევრის წყალობით, უახლოეს პერიოდში, ადამიანებს აღარ ემახსოვრებათ, რა არის დიაბეტი. მეცნიერებმა შეძლეს გამოეყვანათ და გადანერგეს კუჭქვეშა კირკვლის უჯრედები, რომლებიც ნორმალურ რეჟიმში ფუნქციონირებენ. ეს უჯრედები გამოიმუშავებენ ინსულინს. მათი საფუძველი ემბრიონული ღეროვანი უჯრედებია. თუ მათი უსაფრთხოება დამტკიცდება, მაშინ ტრანსპლანტაცია პაციენტებს პირველი ტიპის დიაბეტით, ინსულინის ინექციებს ააშორებს. დღესდღეობით, მკვლევარებს კლინიკური ცდები არ დაუწყიათ, ჯერჯერობით, ტესტირება მხოლოდ ცხოველებზე მიმდინარეობს. სწავლულების განცხადებით, უჯრედები ინსულინს რამდენიმე თვის განმავლობაში გამოიმუშავებენ.

ვიეტნამში მოოქროვილი სასტუმრო გახსნეს

მსოფლიოში პირველი მოოქროვილი სასტუმრო ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში გახსნეს. გარედანაც და შიგნიდანაც შენობა 24-კარატიანი ძვირფასი მეტალის ფენითაა დაფარული. გარდა ამისა, სასტუმროს ავეჯი ნომრებში და სანტექნიკაც კი მოოქროვილია. ექვსვარსკვლავიანი სასტუმროს 25-სართულიანი შენობა დედაქალაქის პრესტიჟულ რაიონში მდებარეობს. ოტელის პირველმა კლიენტებმა აღფრთოვანება ვერ დამალეს. „როცა აქ შემოვედი, თავი ეგვიპტელ ფარონად ვიგრძენი. ასეთი გრძნობა არსად გამჩენია“, - ამბობს ერთ-ერთი სტუმარი. სასტუმროში ერთი დღე-ღამის გატარება მსურველებს 250 დოლარი დაუჯდებათ.

სიზარმაცე უფრო კლავს, ვიდრე ნიკოტინი

ფიზიკური პასიურობა ძირითადი ფაქტორია ისეთი დაავადებების განვითარებისა, როგორებიცაა დიაბეტი, გონებასუსტობა და სიმსუქნე. ცხოვრების უმოძრაო წესი, რომელსაც ჩვენს გლობალიზებულ საზოგადოებაში, უპირატესობას ბევრი ანიჭებს, უფრო ხშირად იწვევს ლეტალურ შედეგს, ვიდრე მოწევა. როგორც ბრიტანული „თაიმი“ წერს, ნისლიან ალბიონზე, ყოველი მეექვსე სიკვდილი გამოწვეულია ცხოვრების პასიური წესით, მთლიანობაში კი, მოსახლეობა 20%-ით ნაკლებს მოძრაობს, ვიდრე 60-იან წლებში. ადამიანები დღეს ისეთ მინიმალურ რეკომენდაციასაც კი არ ასრულებენ, როგორიცაა ნახევარსაათიანი გასეირნება, კვირაში ხუთჯერ.

ზოგადად, ინგლისელები, ერთ-ერთი ყველაზე უფრო ზარმაცი ერია მსოფლიოში. ზრდასრული მოსახლეობის ორი მესამედი არასაკმარისად აქტიურია. ბრიტანელების მესამედი - ახალგაზრდებიცა და პენსიონერებიც, დღეში ექვს საათზე მეტხანს ატარებენ მჯდომარე პოზაში, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიები ამსუბუქებს სამუშაობს სახლშიცა და სამსახურშიც. ტელევიზორები, კომპიუტერები, პლანშეტები მობილური ტელეფონები, ხალხს მაგნიტივით იზიდავს. სწავლულების თქმით, სამწუხაროდ, ფიზიკურ პასიურობას ჯანმრთელობისთვის საფრთხედ არ აღიქვამენ. არადა, ეს ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია დაავადებებისა და ძირითადი ფაქტორი - სიმსუქნის, დიაბეტისა და გონებასუსტობის განვითარებისა.

კოსმეტიკის შერჩევაში სარკე დაგეხმარებათ

ასეთი დამატებითი რეალობის სარკე სამხრეთ კორეაში, სეულის ერთ-ერთ კოსმეტიკურ ბუტიკში დადგეს. პანდემიის გამო, ქვეყანაში შემოღებული საკარანტინე შეზღუდვებისას, ეს სარკე მსურველს კოსმეტიკას ისე აარჩევინებს, რომ არც პროდუქტებს შეეხოს და არც საკუთარ სახეს. სარკე კლიენტის სახის ფოტოს იღებს და აანალიზებს მას. ამის შემდეგ, რეკომენდაციას აძლევს, რომელი კოსმეტიკა გამოიყენოს, კანის ტიპიდან გამომდინარე. ასევე, ურჩევს, როგორ დაფაროს სახეზე ლაქები, ნაოჭები თუ შავი წრეები თვალქვეშ. კლიენტს შეუძლია დაინახოს, უხდება თუ არა სხვადასხვა კოსმეტიკური საშუალება და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს, რომ მთელი სპექტრიდან მისთვის სასურველი ტუში, ტუჩსაცხი, „ბლაში“ ან „ჰაილაითერი“ აარჩიოს.

კურსდამთავრებულებს ხეების დარგვას აიძულებენ

ფილიპინების კუნძულები ტყეების ჭრის გამო ძალიან დაზარალდა. ოდესღაც ქვეყანა სიმწვანეში იყო ჩაფლული, მისი ტერიტორიის 70%-ს კი ხშირი ტყეები ფარავდა. თუმცა გასული საუკუნის დასაწყისში, ეს მაჩვენებელი 3.5-ჯერ შემცირდა, დღეს კი ხეების არალეგალური ჭრა ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა ფილიპინებზე. აქაურები უკვე ძალიან განიცდიან უტყეობას და აქედან გამომდინარე, მკვეთრად გაუარესებულ ეკოლოგიურ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ხელისუფლებამ გადაწყვიტა, რომ კანონის სახით, ხეების დარგვა სავალდებულო გაეხადა. ასე, მაგალითად, ნებისმიერი სასწავლო დაწესებულების კურსდამთავრებული ვალდებულია, 10 ხე დარგოს და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებს დიპლომის მიღებას. ამ გზით, სტუდენტებსა და მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას ფილიპინების გლობალურ პრობლემაზე, ასწავლიან ფრთხილად მოეპყრან მას. დროთა განმავლობაში, ყოველი ნერგი ხედ იქცევა და ამგვარად, კუნძულებზე ტყეებიც აღდგება. ყოველწლიურად, სასწავლო დაწესებულებებს ნახევარ მილიონზე მეტი ახალგაზრდა ამთავრებს. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველი თაობის შემდეგ, ქვეყანაში, დაახლოებით, 100 მილიონი ხე გაჩნდება.

პირველი „დიპლომირებული ნინძა“

45 წლის გენიში მიცუჰაში, ამომავალი მზის ქვეყნიდან, პირველი ადამიანია მსოფლიოში, რომელმაც „ნინძუცუს“ ოსტატობაში დიპლომა მიიღო. „დაცვაზე“ მამაკაცმა წარადგინა საბრძოლო ხელოვნებისა და კლდეზე ცოცვის საბაზისო უნარები. მიცუჰაში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, იაპონიის ისტორიის საერთო კურსის ფარგლებში, შინობის ცხოვრების წესს სწავლობდა. ახლა კი, პირველი „დიპლომირებული ნინძა“ აპირებს, მსოფლიოში პირველმა, სადოქტორო ხარისხი დაიცვას შინობის კულტურის სფეროში.

ლუდი ზეთისხილისგან მოხარშეს

ესპანელმა აგრონომმა, ივან კაელესმა კატალონიიდან, რომელიც ზეითუნის ზეთის მწარმოებელია, ზეთისხილის ლუდი წარადგინა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ მოეძებნება. ეს უნიკალური ქაფიანი სასმელი, სახელწოდებით - Oliba Green Beer, შეიცავს შვიდი სახეობის Pallars Jussa ზეთისხილს. ის სასმელს პიკანტურ სიმწარეს, განუმეორებელ არომატსა და მადისაღმძვრელ, მომწვანე შეფერილობას აძლევს. ლუდი ჩეხური "პილზნერის" სტილშია მოხარშული, აქვს 5%-იანი სიმაგრე და გამაგრილებელი გემო. ამ ექსკლუზიური სასმელის შეძენა, ჯერჯერობით, კატალონიის მხოლოდ ექვს სავაჭრო წერტილშია შესაძლებელი. ერთი ბოთლი ზეთისხილის ლუდის ფასი 3.45 ევროა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77

დიზაინერი – გიორგი ლომსაძე

e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge

ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.